„2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის“ განხორციელების 6 თვის კონსოლიდირებული ანგარიში

2016

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ევროინტეგრაციის, რეფორმებისა და ინოვაციების დეპარტამენტი

2016

შესავალი

საქართველოს „2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის“ (რგპ) 2016 წლის პირველი ნახევრის განხორციელების ანგარიშის პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის, რეფორმებისა და ინოვაციების დეპარტამენტის მიერ იმ ვალდებულებების შესაბამისად მომზადდა, რომელიც რგპ-ის განხორციელებისათვის შემუშავებულ *მონიტორინგის გეგმაშია* გაწერილი. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს. ეს ანგარიში რგპ-ის განხორციელების დაწყებიდან რიგით მესამე ანგარიშია.

ანგარიშის პროექტი მოიცავს 2016 წლის პირველ ნახევარში რგპ-ის ფინანსური და ფიზიკური განხორციელების პროგრესის შესახებ ინფორმაციას. ასევე, დეტალურ ინფორმაციას რგპ-ში გაწერილი ღონისძიებების განხორციელების პროგრესზე იმ საინფორმაციო ფურცლებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაბამისი პასუხისმგებელი დეპარტამენტების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ მომზადდა. ამავდროულად, ანგარიში დამატებით მოიცავს ექსპერტების მიერ მოწოდებულ და ღონისძიებების განხორციელებაში ჩართულ უწყებებთან არაფორმალური შეხვედრების დროს შეგროვებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა წყაროები, როგორიცაა ფინანსთა სამინისტროს ხაზინიდან მოწოდებული 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში.

ანგარიშის პროექტი, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან - სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციები, მუნიციპალიტეტები (საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია - NALAG) და სხვა ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის აკადემიურ საზოგადოება და კერძო სექტორი - კონსულტაციების შემდგომ განსახილველად წარედგინება 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს, საბოლოოდ კი მას რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია (რგსკ) დაამტკიცებს.

1. რეგიონული განვითარების პროგრამის 6 თვის განხორციელების ანგარიშის სტრუქტურა

საანგარიშო პერიოდი	2016 წლის იანვარი-ივნისი
ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ანგარიშის პროექტის დასრულების თარიღი	2016 წლის ოქტომბერი
რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ანგარიშის მოწონების თარიღი	2016 წლის ოქტომბერი

2. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების შესახებ ძირითადი ინფორმაცია

ნაწილი 1. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების მიმოხილვა

პროგრამის განხორციელების მიმოხილვის მომზადებისას გამოყენებულ იქნა მონაცემთა ორი ნაკრები: ფინანსური და ფიზიკური. ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოყვანილია შესაბამისი 6 თვის „საინფორმაციო ფურცლებში“, რომლებიც მომზადდა ყველა ჩართული დეპარტამენტის, სამინისტროს და განმახორციელებელი უწყების მიერ და მიეწოდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის ივლისი-სექტემბერის პერიოდში. აღნიშნული ინფორმაცია შეჯამებულია დანართში #1.

ანგარიშში წარმოდგენილია 2016 წლის პირველ ნახევარში რგპ-ის ღონისძიებების ფინანსური შესრულება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის დეკემბერში დამტკიცდა. აღნიშნული მონაცემები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის მიერ იქნა მოწოდებული.

2014 წლის დეკემბერში რგსკ-ის მიერ მიღებული რგპ-ის მონიტორინგის გეგმის მიხედვით 2016 წლის დაგეგმილ ხარჯებსა და 2016 წლის სახელმწიფო ხაზინის 6 თვის შესრულების ანგარიშზე დაყრდნობით მიმდინარე პროგნოზებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით წლიური გეგმა შეადგენს 1,209 მილიონ ლარს. რაც შეეხება 2015 წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ თანხებს, მასთან მიმართებაში 2016 წლის ივნისის დაზუსტებული ბიუჯეტის ყველაზე დიდი ზრდა გვხვდება:

- პრიორიტეტი 3 „სოფლის მეურნეობის განვითარება“, სადაც დაფინანსება 215 მილონი ლარიდან 272 მილიონ ლარამდე გაიზარდა (განსაკუთრებით ღონისძიება 3.2 – „ფინანსებზე წვდომა“ და 3.3 - „სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები“ – 76-დან 144-მდე).

- პრიორიტეტი 1-ს ფარგლებში ღონისძიების „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები“ დაფინანსება 129 მილიონი ლარიდან 162 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

ამ ეტაპზე, ფინანსური რესურსების ათვისების საუკეთესო მაჩვენებლით უნდა გამოვარჩიოთ შემდეგი პრიორიტეტები და ღონისძიებები:

- *2 - მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა - 52%;*

- *4 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 56.3%;*

  ღონისძიებების დონეზე:

- *1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა - 52,5%;*

- *3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა (შეღავათიანი აგრო-სესხები) – 57%;*

- *5.3 პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები - 78%;*
- *5.5 ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები - 50%.*

რაც შეეხება ჩამორჩენას განხორციელების მიმართულებით, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს შემდეგი ღონისძიებები:

- *1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება - 21,8%;*
- *3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზება - 25%;*
- *5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა - 18%;*
- *5.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება - 13%.*

ფინანსური პროგრესის შეჯამება

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება 2015 წლის დასაწყისში დაიწყო. 2015 წლის ბოლოსთვის რგპ-ში მოცემული ღონისძიებების განხორციელების ხარჯებმა 1,101 მილიარდი ლარი შეადგინა, რომელიც 2015 წლისთვის რგპ-ს თავდაპირველი გეგმის 84.5%-ია ან 98.8% 2015 წლის ბოლოს დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით. ორივე შემთხვევაში ციფრები მნიშვნელოვნად მაღალია 2015 წლისთვის ევროკავშირის ფინანსური მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულების თვალსაზრისით (პოლიტიკის რეფორმის მატრიცა, პოლიტიკის სფერო 3) - *„რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ფაქტიური წლიური დანახარჯი მთლიანი სახელმწიფო/საბიუჯეტო ხარჯების 70% უნდა შეადგენდეს, რომელიც წლის მანძილზე რეგიონული განვითარებისთვისაა გათვალისწინებული“.*

გრაფიკი 1. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მიხედვით 2016 წლისთვის დაგეგმილი ხარჯი



2016 წელი რგპ-ს განხორციელების მეორე წელია. 2016 წლისთვის დაგეგმილი მთლიანი ხარჯი 1.209 მილიარდი ლარია, რომელიც კანონის „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფოს შესახებ“-ის მიხედვით, 2015 წლისთვის დაგეგმილ ხარჯთან შედარებით დაახლოებით 3.7%-ით მაღალია - 1.166 მილიარდი ლარი.

ივნისის ბოლოსთვის პროგრამის ფარგლებში მთლიანი გაწეული ხარჯი 491 მილიონი ლარია, რომელიც მიმდინარე სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2016 წლის მთლიანი დაგეგმილი ბიუჯეტის 40,7%-ია. იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის ივნისის ბოლოს რგპ-ს შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 36.2% შეადგენდა (შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით) მიმდინარე წლის პირველი 6 თვის განხორციელების მაჩვენებელი **პროგრამის განხორციელების ტემპის ზრდაზე მიგვანიშნებს.** ზრდის ეს

მაჩვენებელი შესაძლოა გარე ეკონომიკური და კლიმატური ფაქტორებით იყოს განპირობებული (როგორიცაა ბიუჯეტის გაუმჯობესებული მდგომარეობა და ხელსაყრელი ამინდის პირობები) ან, ასევე, რგპ-ს ღონისძიებების მართვის ხარისხის გაუმჯობესების შედეგი. ღონისძიებების უმრავლესობის შემთხვევაში შესრულების მაჩვენებელი, 2015 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ღონისძიებები:

- 2.1 „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა“ (2016 წლის პირველ ნახევარში შესრულება 52%-ია, მაშინ როცა 2015 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ 18,5% შეადგენდა);

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (2016 წლის პირველ ნახევარში შესრულება 39%-ია, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში - 17.5%).

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კუთხით მიღწეული კარგი პროგრესი, რომელიც რგპ-ს მთლიანი ასიგნების 50%-ზე მეტს შეადგენს (განსაკუთრებით გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა), გვიჩვენებს, რომ მთლიანად პროგრამა 2016 წლის პოლიტიკის რეფორმის მატრიცით განსაზღვრულ სამიზნეებს დააკმაყოფილებს (წლის ბოლომდე დაგეგმილი ხარჯის 80%-იანი ათვისება). რაიმე მნიშვნელოვანი რისკი, რამაც შესაძლოა დასახული მიზნის მიღწევას შეუშალოს ხელი, არ გამოვლენილა.

თუ რგპ-ს განხორციელების პროგრესს ახლოს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ პრიორიტეტის დონეზე პროგრამის განხორციელება საკმაოდ დაბალანსებულად მიმდინარეობს - ათვისებული ფინანსების პროცენტული მაჩვენებელი 39.1%-დან (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი) 56.2%-მდე (პრიორიტეტი 4 – „ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა“) მერყეობს. წლის პირველ ნახევარში პრიორიტეტებს შორის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პროექტების დაფინანსების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ მცირემასშტაბიანი, თუმცა დიდი რაოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტებს, რიგ შემთხვევებში, არასაკმარისი ადმინისტრაციული შესაძლებლობები გააჩნიათ ეფექტური დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ხარვეზები იკვეთება დაკონტრაქტებული კერძო სუბიექტების მხრიდან, როგორც პროექტირების, ასევე უშუალოდ, სამუშაოების შესრულების პროცესში, რაც ზოგიერთ რეგიონში, კვალიფიციურ კერძო კომპანიებს შორის კონკურენციის ნაკლებობაზე მიუთითებს.

გრაფიკი 2. პრიორიტეტისა და რეგიონული განვითარების ფონდის დონეზე რგპ-ს ხარჯების პროცენტული წილი დაგეგმილ სახელმწიფო ბიუჯეტში 2016 წლის 31 ივნისის მონაცემებით



შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებებია ღონისძიებებისა და ქვე-ღონისძიებების განხორციელების კუთხით, რომელიც განსაზღვრულია საბიუჯეტო კოდებით. (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3 გვიჩვენებს, რომ განხორციელების სწრაფი ტემპით გამოირჩევა ღონისძიება 3.2 - „ფინანსებზე წვდომა“, პრიორიტეტის - „სოფლის მეურნეობის განვითარება“ ფარგლებში, სადაც წლის პირველ ნახევარში დაგეგმილი რესურსების ნახევარზე მეტი (56%) უკვე გაცემულია. ამ ღონისძიებისგან განსხვავებით, იგივე პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელების დაბალი ტემპით გამოირჩევა ღონისძიება 3.1 „საირიგაციო სისტემების მოდერნიზაცია“ (24.5%).

როგორც წესი, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების (გზები, წყალმომარაგება, წყალარინება და საირიგაციო სისტემები და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები) განხორციელების ტემპი უფრო დაბალია, ვიდრე იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მეწარმეობის, ტურიზმის ან ტრენინგ სქემების მხარდაჭერას ისახავს მიზნად, რომლებიც არ არიან დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე და საჯარო ადმინისტრაციის მმართველობის სხვადასხვა დონეზე დიდი მოცულობის მოსამზადებელ სამუშაოებს (პროექტირება) არ საჭიროებენ.

გრაფიკი 3. პრიორიტეტისა და ღონისძიების განხორციელების პროგრესის შედარება 2015 წლის და 2016 წლის პირველ ნახევრებში (%)



გრაფიკი 3, ასევე, გვიჩვენებს ინდივიდუალური ღონისძიებების შესრულების პროგრესს 2015 წლის პირველ ნახევარსა და 2016 წლის პირველ ნახევარს შორის პერიოდში. შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება შემდეგი მიმართულებით:

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (გაიზარდა 17.5%-დან 39.1%-მდე);

- ღონისძიება 5.2 „ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება“ (გაიზარდა 3.6%-დან 41.4%-მდე);

- სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში, ღონიძიება 3.2 „ფინანსებზე ხელმისაწვდომლობა“ (გაიზარდა 26.7%-დან 56.7%-მდე).

  რეგიონული განვითარების ფონდის გაუმჯობესებული შესრულება სავარუდოა, რომ მეტწილად წესებისა და პროცედურების გამარტივებითა და რეგიონული პოლიტიკის ამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის მართვის გაუმჯობესებით იყოს განპირობებული, რაც სრულ შესაბამისობაშია რგპ-ს მონიტორინგის ბოლო ორი ანგარიშის რეკომენდაციებთან.

ფიზიკური პროგრესის შეჯამება

რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართში #5, რომელიც რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 2014 წლის დეკემბერში დაამტკიცა, ინდივიდუალური ღონისძიებებისთვის გარკვეული რაოდენობის ინდიკატორებია გაწერილი, თუმცა, სამიზნეებთან მიმართებაში მათი რაოდენობრივი განსაზღვრა არ მომხდარა არც 2015 და არც 2016-2017 წლებისთვის. 2015 და 2016 წელს, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ევროკომისიის თხოვნით, სამინისტროების ძალისხმევით დასახული ინდიკატორების უმრავლესობისთვის სამიზნე ღირებულებების განსზღვრა მაინც მოხერხდა, თუმცა ზოგიერთ ღონისძიებას და აქტივობას კვლავ არ გააჩნია[1].

რგპ-ს 2016 წლის 6 თვის ანგარიშის ამოსავალი წერტილი ის ცხრილია, რომელიც პროგრამის 2015 წლის წლიურ მონიტორინგის ანგარიშშია მოცემული - ფიზიკური პროგრესი მოცემულია ქვემოთ.

რგპ-ს უფრო ფართო შედეგებთან დაკავშირებით, 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ბოლოს მომზადდება კვლევა მათი შეფასების მიზნით. ზოგიერთი შედეგის ინდიკატორი განსაზღვრულია ღონისძიებების ცხრილის აღწერაში, მაგრამ სამიზნეები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია დადგენილი. თითოეული ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაცია მოცემულია დანართში #1. 2016 წლის წლიურ მონიტორინგის ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებით, შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, უფრო დეტალური ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი.

„საინფორმაციო ფურცლებსა“ და განმახორციელებელი უწყებების მიერ დამატებით მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2015-2017 წლების რგპ-ს ფიზიკური განხორციელების პროგრესი, 2016 წლის პირველ ნახევარში, დადგენილ სამიზნეებთან მიმართებაში შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს (ინდივიდუალური ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში # 1):

---

[1] სხვა ხარვეზები, რომლებიც ინდიკატორებისთვის სამიზნეების განსაზღვრას უკავშირდება შემდეგია: (ღონისძიება 1.3 - „წყლის მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია“; ნაწილობრივ ღონისძიებისთვის 3.3 - „სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები“; 4.1 - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; 5.3 - სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ინოვაციების სისტემები და სხვები). მთლიანობაში, პროგრამის ეფექტურობის განსაზღვრისთვის, ამ და სხვა გამოტოვებული სამიზნეების დადგენა პრიორიტეტული უნდა იყოს 2016 და 2017 წლების რგპ-ს წლიური ანგარიშების მომზადებისას.

- ღონისძიების უმრავლესობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების ფიზიკური პროგრესი დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს, რაც რგპ-ს 2016 წლის და მთლიანად 2015-2017 წლების სამიზნეების მიღწევას უზრუნველყოფს. უფრო დეტალური ანალიზი 2017 წლის სამიზნეების მიღწევის პროგრესთან დაკავშირებით მომზადდება რგპ-ს 2016 წლის წლიურ ანგარიშში;

- ღონისძიებების უმრავლესობის შემთხვევაში, 2015 წლის პირველ ნახევართან შედარებით, ფინანსური კუთხით შესრულების უკეთესი შედეგებია - გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია და ზოგადად, სხვა ტექნიკური ინფრასტრუქტურის ინვესტიციები. 2015 წლის პირველ ნახევართან შედარებით. განსაკუთრებით თვალსაჩინო გაუმჯობესება შეიმჩნევა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემთხვევაში, რაც პროცედურების გამარტივებისა და მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მობილიზებული მუშაობის შედეგია.

  მთლიანობაში, 2016 წლის პირველ ნახევარში რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში:

  - მშენებლობა დასრულდა და გაიხსნა 18 კმ. საავტომობილო გზა თბილისი-ქუთაისი-ბათუმის საერთაშორისო ავტომაგისტრალის დერეფანში, დაიგო 83 კმ. ახალი გზა და აშენდა 3 ახალი ხიდი;

ღონისძიება	ინდიკატორი	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017	2016		
				I ნახევარი	II ნახევარი	ჯამი
1.1 საერთაშორისო და შიდასახელწიფოებრივი მნიშვნელობის გზები	რეაბილიტაცია–პერიოდული შეკეთების სამუშაოები	კმ	700 (2017)	83		83
	ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა	კმ	80 (2017)	18		18
	ხიდების რეაბილიტაცია–მშენებლობა	ერთეული	120 (2017)	10		10

- ღონისძიება 1.2 მყარი ნარჩენების მართვა - განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ძველი ნაგავსაყრელების დახურვასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, თუმცა სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა;

1.2 მყარი ნარჩენების მართვა	ახლადგახსნილი (რეგიონული) ნაგავსაყრელების რ-ბა	ერთეული	0			0
	დახურული, ძველი ნაგავსაყრელების რ-ბა	ერთეული	17 (2015)	1		1
	რეაბილიტირებული ნაგავსაყრელების რ–ბა	ერთეული	22 (2015)			0

- ღონისძიება 1.3 - წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია - განხორციელების შედეგად 7000-ზე მეტი ახალი აბონენტი დაუკავშირდა წყალმომარაგების სისტემას (2015 წელს 4700 აბონენტი)'

1.3 წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	აშენებული და რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	აშენებული საფილტრაციო ნაგებობების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0	0	0
	ახალად გამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა	რაოდენობა	10100	6987		6987
	რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საკანალიზაციო სისტემის მილების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	10,34	0	10,34
	რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული წყლის სისტემის მილების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	131,2		131,2
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც საკანალიზაციო სისტემას შეუერთდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	296	0	296
	ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყლის სისტემას შეურთდნენ	რაოდენობა	10100	6987	0	6987

- ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირების და პრევენციის ღონისძიებები ჩატარდა 21 ლოკაციაზე, მათ შორის 10 მათგანზე მუშაობა დასრულდა ივნისის ბოლომდე. გარდა ამისა, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა მასშტაბური გარემოს დაცვითი და კვლევითი აქტივობები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში #1).

1.4. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და მისგან დაცვა და ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების მართვა	ანალიტიკური კვლევების/რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების განსაზღვრას	რაოდენობა		2		2
	რეგიონული ბუნებრივი საფრთხეების / კატასტროფების პროგნოზირების ადრეული გაფრთხილების სისტემა	რეგიონების რაოდენობა		95		95

	ბუნებრივი საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების მუნიციპალური გეგმები	რაოდენობა	ყველა მოწყვლადი მუნიციპალიტეტებისთვის			1
	ზღვისპირა და ნაპირსამაგრი სამუშაოები	პროექტების რაოდენობა	50 (2017)	5		5
	პრევენციისა და ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირების სამუშაოები	პროექტების რაოდენობა	70 (2017)	11		11
	რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების განსაზღვრას	რაოდენობა		72		72

- ღონისძიება 1.5 ფარგლებში სამუშაოები გაგრძელდა ტყის აღდგენა/დაცვასა და მართვასთან დაკავშირებით მეთოდოლოგიური და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით. გადამზადდა ტყის ეროვნული სააგენტოს 400-მდე სპეციალისტი (2015 წლის პირველ ნახევარში კი მხოლოდ 60), სანიტარული პირობები გაუმჯობესდა 22400 ჰა ტყის მასივზე, განახლდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 76 კმ სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზას.

1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	ნორმატიული დოკუმენტების რაოდენობა (ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზა)	რაოდენობა	2	5		5
	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში გადამზადებული სპეციალისტების რაოდენობა	რაოდენობა	900 (2017)	400~		
	ტყის სანიტარული პირობების გაუმჯობესება	ჰა	86,800 (2017)	22400		22400
	სატყეო გზების რეაბილიტაცია	კმ	750 (2017)	76,32		76,32
	რეგიონული სატყეო რაიონების რაოდენობა აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუმენტებით	რაოდენობა	46	0		0

- ანგარიშში წარმოდგენილი ციფრების მიხედვით, განხორციელების შესამჩნევი პროგრესი შეიმჩნევა ღონისძიების 2.1 – „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა“ ფარგლებში. აღნიშნული ნაწილი ეხება პროგრამის ორივე კომპონენტს, ანუ "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიულ და "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულებებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული შედეგები. **ინდუსტრიული მიმართულება** მოიცავს პროგრამის ფარგლებში მონაწილე კომპანიების მიერ ბიზნესის განვითარებისთვის მიღებულ კომერციულ სესხზე და/ან ლიზინგის ობიექტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 2 წლის განმავლობაში. აღნიშნული მიმართულებით 2016 წლის 1 ნახევრის განმავლობაში მხარი დაეჭირა 32 მეწარმე სუბიექტს (ქ. თბილისის და აჭარის ა/რ ჩათვლით), რომელთა მიერ განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 30 მლნ. ლარს. პროგრამის მეშვეობით კომერციული ბანკებიდან მოხდა 53 მლნ. ლარზე მეტი კომერციული სესხის გაცემის სტიმულირება.

გარდა ზემოაღნშინულისა, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ასევე მოიცავს **მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ნაწილს**, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე სამეწარმეო საქმიანობების მხარდაჭერას ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსებისა და ცოდნის მიწოდების გზით. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში სააგენტოს მიერ 2016 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მხარი დაეჭირა 535 მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტს (მათ შორის 42 პროექტი აჭარის ა/რ-ში). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეიქმნა 2000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი და გადამზადდა 3716 ბენეფიციარი.

2.1 ინსტიტუციონალური და პროგრამული აქტივობებით საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა	მხარდაჭერილი საწარმოების რაოდენობა	ერთეული	65 (2016)	32		32
	გადაიარაღებული არსებული საწარმოების რაოდენობა	ბიზნესების რაოდენობა	20 (2015)	16		16
	ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობა	ლარი (მილიონი)	90 (2016)	30		30,122
	განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა	ლარი (მილიონი)	125 (2016)	54		54

	რეგიონში შექმნილი მიკრო და მცირე საწარმოების რაოდენობა (მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით)	ერთეული	3000 (2017)	535		535
	შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა	ერთეული	4800 (2017)	2081		2081
	დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა (მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში)	ერთეული	8725 (2017)	3716		3716

- განხორციელების პროგრესი ფიქსირდება სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით:

o სრულად განხორციელდა 10 საირიგაციო და 2 სადრენაჟო სისტემის პროექტები, რის შედეგადაც გასარწყავდა 14,468 ჰა მიწის ნაკვეთი და 5,350 ჰა სახნავ-სათესი მიწა გაუმჯობესებული სადრენაჟო სისტემებით;

3.1 სასოფლო წყლის მართვის გაუმჯობესება	ირიგაციის რეაბილიტირებული და ახალი პროექტების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	46		46
	დამატებით გასარწყავებული მიწის ნაკვეთების ფართობი	ჰა	8752	14468		14468
	გამართული სადრენაჟო სისტემის მქონე მიწის ფართობი	ჰა	5819	5350		5350

- აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 5 საწარმო და გაიცა 807 სესხი (748 - 2015 წლის პირველ ნახევარში). მრავალი აქტივობა განხორციელდა ღონისძიება 3.3 ფარგლებში – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა“, „სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსება“, „სურსათის უსაფრთხოება და მევენახეობის განვითარება“ და „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებები“ (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში #1).

3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალი საწარმოებისა და ფერმების რაოდენობა	ერთეული	50 (2017)	5		5

	ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების რაოდენობა	ერთეული	2500 (2017)	807		807

3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები	იმ საკვები და აგრობიზნესის საწარმოების რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც ხდება სურსათის უვნებლობის ღონისძიებების თვალსაზრისით	ერთეული	8000	4150		4150
	დასრულებული ან პროცესში მყოფი კვლევითი პროექტების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება			
	ქართული ღვინის ხელშეწყობის კამპანიის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა	ერთეული	89	57		57
	შექმნილი სასოფლო კოოპერატივების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	340		340
	სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლისთვის ჩატარებული ტესტების რაოდენობა	ერთეული	3500	1385		1385
	სადემონსტრაციო ნაკვეთებისთვის მომზადებული მიწის ფართობები	ჰა		240,72		241

- ფიზიკური პროგრესის კუთხით ეფექტიანი შესრულებით გამოირჩევა ღონისძიება 4.1 - ტურიზმის მხარდაჭერა. ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო ცენტრების

მშენებლობა/რეაბილიტაცია დაწყებულია და მიმდინარეობს. წლის ბოლომდე გაიხსნება და აღიჭურვება 2 ახალი საინფორმაციო ცენტრი. ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა 7 ტრენინგი, ტრენინგს 420 მონაწილე დაესწრო (770 მონაწილე 2015 წლის პირველ ნახევარში). საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის სულ 98 მარკეტინგული აქტივობა მოეწყო

4.1 ტურიზმის განვითარება	დასრულებული რეგიონული კვლევების რაოდენობა;	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება			
	შექმნილი საინფორმაციო ცენტრების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება			
	ჩატარებული გადამზადების კურსების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	6		6
	გადამზადების კურსების მონაწილეთა რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	420		420
	მარკეტინგული აქტივობების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	98		98
	განვითარებული „ტურიზმის პროდუქტის“ რაოდენობა.	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	3		3

- ღონისძიება 5.2 ფარგლებში გაგრძელდა მხარდაჭერა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული კოლეჯების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით: აღიჭურვა 11 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები და 13 საგანმანათლებლო ცენტრს გადაეცა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები. საქართველოს 2 რეგიონში დაიწყო სტუდენტური საცხოვრებლების მოწყობა.

5.2 არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია,	აგებული / განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლები კონკრეტულ დონეზე	ერთეული	1	2		2
	კონკრეტულ რეგიონებში განახლებული და აღჭურვილი არსებული სასწავლებლები	ერთეული		11		

ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა.	აგებული / განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების შესაძლებლობა	რაოდენობა (მოსწავლეების)				
	კერძო სექტორის მონაწილეობით აგებული / განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების რაოდენობა კონკრეტულ დონეზე	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	5		5

- ღონისძიება 5.3 ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მიერ პროგრამების განვითარებისთვის დამატებითი დახმარება გამოიყო, რომელიც უკვე განვითარებულ მოდულურ პროგრამებს ებს ეფუძნება და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგს და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირებას გულისხმობს. წლის პირველ ნახევარში (იხილეთ დანართი #1): 110 მასწავლებელი და საინფორმაციო-საკუნსულტაციო სამსახურის თანამშრომელი გადამზადდა (2015 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ 20), სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა 10 პროექტი - შეძენილ იქნა ავეჯი და ტექნიკა;

5.3 სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ექსტენციის სისტემები	გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ექსტენციის სისტემის მომსახურე პერსონალი	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	110		110
	სასწავლო გარემოს გაუმჯობესების (ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალა და აღჭურვილობა) მიზნით მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	10		10

	იმ პროფესიული სასწავლებლებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა, რომელთაც სოფლის მეურნეობაში ეფექტური და ინოვაციური სასწავლო პროგრამები და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის უნარი გააჩნიათ	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	16		16
	გადამზადებული სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურების გამწევთა რაოდენობა (ვეტერინარები, ზოო-ტექნიკოსები, საკვების გადამამუშავებლები, სასოფლო-სამეურნეო, სამანქანო ოპერატორები, წარმოების საშუალებების მიმწოდებლები და ცხოველთა საკვების გადამამუშავებლები)	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	15		15
	იმ კერძო სექტორის მონაწილეების რაოდენობა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიულ გადამზადებასა და სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების დანერგვაში თავიანთი წვლილი შეაქვთ.	რაოდენობა		10		
	ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც პროექტის საჯარო და კერძო მონაწილეების მხრიდან სრული და თანაბარი ჩართულობა იქნება და რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადამზადებისა და ექსტენციის სერვისების დანერგვას უზრუნველყოფს	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	2		შეიქმნა 2 თემატურ ად მომუშავე ჯგუფი

- ღონისძიება 5.4 ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია: 2016 წლის პირველ ნახევარში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგებს 563 მასწავლებელი დაესწრო (2015 წლის პირველ ნახევარში - 519);

5.4 პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება.	პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირება	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	მზადების პროცესში		მზადების პროცესში
	საჭიროების ანალიზზე დაყრდნობით ჩატარებული გადამზადებული მასწავლებლები	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	563		563
	რეალურ სამუშაო გარემოში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	74		74

2016 წლის პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი- 2016), UNDP / რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროექტმა, ვ. ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან (რეფორმის ცენტრი) მჭიდრო თანამშრომლობით, ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, ორგანიზება გაუკეთა 15 ტრენინგ ღონისძიებას (486 ტრენინგ დღე), 249

საჯარო მოხელისთვის, რომელთაგან 177 წარმოადგენდა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორების ადმინისტრაციებს;

5.5 რეგიონებში საჯარო მოხელეთა გადამზადება	მუნიციპალიტეტების რაოდენობა ეფექტური ადამიანური რესურსების მართვის შემუშავებული პოლიტიკით	ერთეული	10 (2017)	76		76
	ახალი სასწავლო პროგრამების (კურიკულუმების) რაოდენობა	ერთეული	12 (2017)	8		8
	მუნიციპალიტეტებისა და სწავლების მიმწოდებელთა მიერ განხორციელებული ერთობლივი მოქმედებების რაოდენობა	ერთეული	12 (2017)			
	ორგანიზებული	ადამიანი/დღე	4500 (2017)	516		516

	ტრენინგების რაოდენობა					
	ტრენინგ გავლილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა რაოდენობა (სქესის ნიშნით განცალკევებული)	ერთეული	2,000 (მათ შორის 600 ქალი 1,400 კაცი)	258		258

2015 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ პროექტების განხორციელება, 2016 წლის პირველ ნახევარში, გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. პროექტების უმრავლესობა განხორციელების მოსამზადებელ ფაზაში იყო, თუმცა ბევრი სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტი (გზები, სპორტული და საცხოვრებელი ობიექტების წყალმომარაგება) ივნისის ბოლომდე უკვე დასრულდა (დეტალური ჩაშლილი ინფორმაცია რეგიონების მიხედვით იხილეთ დანართში #1). მთლიანობაში, ყველა რეგიონში, (თბილისის გარდა) სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 140 კმ. გზაზე, მაშინ როცა 2015 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ 56. კმ-ზე. აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 წყლის ნაგებობას (წინა წელს მხოლოდ 14), მოეწყო 3,500 გარე განათება (წინა წელს 0 ერთეული) და აშენდა 3 მრავალოჯახიანი საცხოვრებელი კორპუსი (2015 წელს 0 ერთეული).

როგორც ზემოთაა აღნიშნული, პროგრამის უფრო ფართო შედეგებთან დაკავშირებით, 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ბოლოს მომზადდება კვლევა მისი შეფასების მიზნით. ზოგიერთი შედეგის ინდიკატორი განსაზღვრულია ღონისძიებების ცხრილის აღწერაში, მაგრამ სამიზნეები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არის დადგენილი. თითოეული ღონისძიების ფარგლებში მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაცია მოცემულია დანართში #1. 2016 წლის წლიურ მონიტორინგის ანგარიშში, ამ საკითხთან დაკავშირებით, შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, უფრო დეტალური ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია	კმ	457,8	139,9		140
	წყლის სიტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	კმ	522,07	21,7		22
	წყლის სიტემების სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	20	1		1
	საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	96	9		9

	სპორტული ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	14	7		7
	კულტურული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	14	2		2
	ქუჩის განათება	მეტრი	34935	3375		3375
	ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	90	3		3
	ნაპირსამაგრი სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	მეტრი	1988	170		170
	სადრენაჟო სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია მიმდინარეობს	მეტრი	39290	2350		2350
	მრავალოჯახიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	402	3		3
	წყალარინების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია	მეტრი	16 823	1 836		
	დასვენების ობიექტები	პროექტების რაოდენობა	8	1		
	სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	7			

ნაწილი 2. საანგარიშო პერიოდში იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მიზნების მიღწევის პროგრესზე ახდენენ გავლენას

მაკროეკონომიკური და ფინანსური სიტუაცია[2]

2016 წლის თებერვალში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა ოთხ პუნქტიანი რეფორმის გეგმა ეკონომიკური მოწყვლადობის და ეკონომიკაზე გარე შოკების საკითხების გადაჭრის მიზნით. ეკონომიკური განვითარების ეს გეგმა გულისხმობს ახალ საგადასახდო შეღავათებს, გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას, მმართველობის რეფორმას და განათლების სისტემის გადასინჯვას. ევროკავშირი-საქართველოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მთავრობა გეგმავს მაქსიმალურად გამოიყენოს ინტეგრაციის შესაძლებლობები კაპიტალური და შრომითი რესურსების

[2] მსოფლიო ბანკის ეკონომიკურ მიმოხილვა http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3; 24.10.2016

უფრო პროდუქტიულ მრეწველობაში გადანაწილების წახალისების გზით, მხარდამჭერი ფირმების შექმნით, რათა მოხდეს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის სრული ჰარმონიზაცია და სახელმწიფო ინსტიტუტების გადახალისება ვაჭრობის გამარტივების, სავაჭრო ტექნიკური ბარიერების შემცირების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის და ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების კუთხით.

რეგიონში განვითარებული ეკონომიკური შოკების და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე, 2015 წელს მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი, 2.8%-იანი ვარდნის შემდეგ (4.8%-დან 2014 წელს), 2016 წლის პირველ ნახევარში 2.9%-მდე გაიზარდა, რაც მშენებლობისა და სხვა არასავაჭრო სექტორების 26%-იანი ზრდით არის განპირობებული.

2016 წელს პროგნოზირებული ეკონომიკური ზრდა 3.0 პროცენტს შეადგენს. IMF-ის პროგნოზის თანახმად, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5.2 პროცენტი იქნება.

2015 წელს მ/ა დეფიციტი შემცირდა ნომინალურ გამოხატულებაში, თუმცა გაიზარდა მისი მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი მნიშვნელის ეფექტის გამო, აშშ დოლარში გამოსახული მშპ-ის შემცირების შედეგად. 2015 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 12 პროცენტი შეადგინა. 2016 წელს სავაჭრო ბალანსის, ფულადი გზავნილების და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაუმჯობესების შედეგად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირებულია. 2016 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით მთლიანი საგარეო ვალი მშპ-ს 108.7%-ს შეადგენს. 2016 წლის მეორე კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 2.0% იყო.

ექსპორტის და ფულადი გზავნილების შემცირებით, გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მშპ 2015 წელს 12%-დან 13%-მდე 2016 პირველ კვარტალში, თუმცა საგარეო ვალი შემცირდა 2015 წელს მშპ-ს 107%-დან 100%-მდე 2016 პირველ კვარტალში, მას შემდეგ რაც, 675 მილიონი დოლარის ოდენობის კომპანიათაშორისი სესხები ჩამოიწერა. ზრდის ხელშეწყობის მიზნით მთავრობამ გაზარდა როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე ხარჯვა, რითაც ფისკალური დეფიციტი გაფართოვდა მშპ-ს 2.5%-მდე. მშპ-ს ზრდა მთლიანად 2016 წელს სავარაუდოდ 3.4% მიაღწევს.

ადმინისტრაციული შესაძლებლობები

ადმინისტრაციული შესაძლებლობების ეფექტურობა გაგებულ უნდა იქნას, როგორც პროცედურული, აგრეთვე ინსტიტუციური სისტემის (მათ შორის, ადამიანური რესურსების) უნარი ფინანსური და ფიზიკური სამიზნეების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებ(ებ)ის განხორციელებისა. 2015 წელს რგპ-ს შესრულების საერთო კარგი მაჩვენებლის და 2016 წლის პირველ ნახევარში, რგპ-ს ღონისძიებების განხორციელების გაუმჯობესების გათვალისწინებით, 2015 წლის პირველ ნახევართან შედარებით, შესაძლებლობების განვითარების საკითხები უმჯობესდება და დადებითად უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება განხორციელების პროცესს, რაიმე სისტემური ხასიათის ბარიერი, რაც ადმინისტრაციისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იქნებოდა საბიუჯეტო რესურსების ეფექტური და დროული გამოყენებისთვის, არ წარმოქმნილა. თუმცა, კვლავ არსებობს გარკვეული პრობლემები მონიტორინგის მოთხოვნების გაგების კუთხით, განსაკუთრებით კი ფიზიკური პროგრესის მოწოდების, მისი კავშირების გამოვლენის

ფინანსურ მაჩვენებლებთან, მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების გაგების და რგპ-ს მიზნებისთვის აღრიცხვის სისტემების გამოყენების კუთხით.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს (როგორც წინა მონიტორინგის ანგარიშებია აღნიშნული) რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემდგომი განვითარება პროგრამის განხორციელების მთლიანი პროცესის კოორდინაციისა კუთხით (მათ შორის ანგარიშგების პროცესი) და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ყველა ჩართული მხარის გაზრდის მიზნით.

ამინდი და კლიმატური პირობები. ბუნებრივი კატასტროფები

სამინისტროებისა და განმახორციელებელი უწყებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2016 წლის პირველ ნახევარში ასეთი ტიპის ფაქტორებს პროექტების განხორციელებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

სხვა ფაქტორები

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც 2016 წლის პირველ ნახევარში რგპ-ს განხორციელებაზე გავლენა იქონია ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია, რაც მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვნად გაზრდილ ხარჯებში და ასევე, საჯარო უწყებებისა და სამინისტროების მობილიზებით, განვითარების პროექტების დაფინანსებაში აისახება. ზოგიერთი სექტორისთვის (გზების მშენებლობა, მყარი ნარჩენების მართვა, სოფლის მეურნეობა, სტანდარტების (ტექნიკური ნორმების) ჰარმონიზაციის საკითხი და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო (ევროპულ) სტანდარტებთან აღნიშნული იყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში.

სხვა ფაქტორები, რომელებმაც რგპ-ს განხორციელებაზე იქონია გავლენა კონკრეტული სექტორების მიხედვით განსხვავდება და შეჯამებულია ქვემოთ სააგენტოებისა და სამინისტროების მიერ მოწოდებულ საინფორმაციო ფურცლებზე დაყრდნობით:

გზები მშენებლობა/რეაბილიტაცია

მსოფლიოში აღიარებულ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებთან მიახლოებისთვის, ძველი და თანამედროვე პრაქტიკის შერწყმა ძალზედ მნიშვნელოვანია. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს სამინისტროს მიერ Twinning-ის პროექტის შემუშავება, რომელშიც გაიწერება მთელი რიგი ღონისძიებები და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიმართულებით.

მყარი ნარჩენების მართვა

მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება (განსაკუთრებით ნაგავსაყრელების მართვა) კომპანიის საწესდებო ფუნქციებისა და

ამოცანების შესრულებას შეუწყობს ხელს (ნარჩენების მართვის კოდექსი, ტექნიკური რეგლამენტის - „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები“ დამტკიცების თაობაზე). ასევე, ნარჩენების მართვის სექტორში კანონმდებლობის გაუმჯობესება წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ხელშეკრულების ფარგლებში აღებულ ვალდებულებას. ეს საკითხი უკავშირდება საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ნაგავსაყრელების მართვის ევროდირექტივებთან: არსებული ნაგავსაყრელების დახურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თანამედროვე სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობა და ოპერირება.

წყალმომარაგება და წყალარინება

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია უნდა წარმოადგენდეს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებთან დაკავშირებით პროექტების ინვოისების მიმღებ და გამცემ ორგანოს. ამის შედეგად, ყველა ოპერაცია ასახული იქნება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბალანსზე. ეს კი გაამარტივებს კომპანიის მიერ დღგ-ს დაბრუნებასა და აკუმულირებას, ასევე, აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

აუცილებელია ტრენინგების გზით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც ქართველ პერსონალს საშუალებას მისცემს შეამოწმოს სისტემები და თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობა.

არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესებით, განსაკუთრებით იმ ნაწილის, რომელიც შესყიდვების ოპერაციებს უკავშირდება, შესაძლებელი გახდება, შესყიდვების პროცესში და ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის უნიფიკაციისთვის, ტექნოლოგიური სისტემებისა და მოწყობილობების ხარისხზე ფოკუსირება.

მეწარმეობის მხარდაჭერა

სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1) ინდუსტრიული, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიას ფარავს და 2) მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა, რომელიც ასევე გარდა თბილისისა, მთელს საქართველოს მოიცავს. შესაბამისად, სააგენტოს პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს მეწარმეების ფინანსურ მხარდაჭერას ზემოთხსენებულ გეოგრაფიულ არეალში. პროგრამის თითოეული კომპონენტის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგიონული განვითარების პროგრამის ღონისძიებების განხორციელების შესახებ ანგარიშში შესაძლოა გარკვეულ უზუსტობებს ჰქონდეს ადგილი. ანგარიშის მაქსიმალური სიზუსტისთვის, ზემოთაღნიშნული გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული და (თუ შესაძლებელია) ადეკვატური შესწორებები გაკეთდეს.

სოფლის მეურნეობა

სამელიორაციო სისტემა

გასარწყავებული ფართობების შესახებ საკადასტრო ინფორმაცის სიმცირის გამო:

- რთულია სამელიორაციო ფონდის ფაქტიური ინდიკატორის დათვლა;
- ძნელია გასარწყავებული ფართობის პერიოდული ინვენტარიზაციის ჩატარება.

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას დაახლოებით 1 მილიარდი ლარის ინვესტიცია სჭირდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ამ მიზეზით, საჭიროა კომპანიის მიზნების დადგენა, სამომავლო პრიორიტეტების გამოვლენა და პოტენციური დონორების ინტერვენციაზე ფოკუსირება. სამელიორაციო სექტორის ფორმირებისთვის, ასევე, აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის სტრუქტურებითან უფრო სიღრმისეული თანამშრომლობა „ჰიდრო-მელიორაციის შესახებ“ კანონის მიღების პროცესში.

ფიტოსანიტარია

ვინაიდან შეწამვლითი სამუშაოები ტარდება ფერმერთა კერძო ნაკვეთებში, მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობა ღონისძიებების ეფექტურად ჩატარების მიზნით.

სახელმწიფო პროექტის წარმატებული განხორციელების მიზნით, პროცესში მუნიციპალიტეტების, ასევე სხვადასხვა ინსტიტუტების ჩართვა, ინფორმაციის სწრაფი გაცვლა, მათ შორის მუნიციპალიტეტების მხრიდან ძალზედ მნიშვნელოვანია.

მიწის რეგისტრაცია

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონით ადგილობრივ ხელისუფლებას მიენიჭა მიწის ფართობის ფაქტიური მდგომარეობის დადასტურების ფუნქცია. ამიტომ, ეროვნული და ადგილობრივი მმართველობის დონეებზე დროული თანამშრომლობა და ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლა არსებითად მნიშვნელოვანია.

გარემოს ეროვნული სააგენტო (ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია)

გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი (ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიის სექტორი) გაუმჯობესებას საჭიროებს, რისთვისაც შემდეგი მოქმედებების განხორციელებაა საჭირო:

- ფინანსური წყაროების მობილიზება/მოძიება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე, საერთაშორისო დონორებთან აქტიური თანამშრომლობა;

- მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ, ადრეული გაფრთხილების ეფექტური სისტემის შესაქმნელად, რადარული და აეროლოგიური დაკვირვების აღდგენა, დამატებით 10 მეტეოროლოგიური სადგურის შეძენა და დამონტაჟება.

მეტყევეობა

რეკომენდაციები შესაბამისი ღონისძიებების ხარისხის გაუმჯობესებას, კოორდინაციას და ზოგადად მართვასა და განხორციელებას უკავშირდება.

- ტყის მართვის დაგეგმვა-ტყის მართვა მისი სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნებისა და ამ ფუნქციებიდან საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით;

- სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;

- ტყის მართვის უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება-საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები კადრების, აღჭურვილობის, შენობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სახით;

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება - ტყეების მნიშვნელობისა და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ მოსახლეობისა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებები;

- საგანმანათლებლო სისტემაში სატყეო სექტორში პროფესიული განათლების სისტემის ინტეგრირება.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვალის №23-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის ინიცირება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტებს განესაზღვრებათ პროექტების დასრულების შემდგომ ანგარიშის მომზადების ვალდებულება.

აქტუალური რჩება პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვისთვის შემდგომი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რის შედეგადაც მოსალოდნელია რომ გაიზრდება პროცესის ეფექტიანობა, ხარისხი და გამჭვირვალობა. ამასთან, უნდა მოხდეს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი გადამზადება, რათა უმტკივნეულოდ განხორციელდეს ელექტრონულ მართვაზე გადასვლა.

ანგარიშგება

ანგარიშის მომზადებაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა გადამზადება რგპ-ს მონიტორინგის ანგარიშის მოსამზადებლად საჭიროა სრულყოფილი ინფორმაციის უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული უკავშირდება ანგარიშის ტექსტურ ნაწილს და მონაცემებს (ფიზიკურ და ფინანსურ ინდიკატორებს). ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ უწყებებს უნდა შეეძლოთ ანგარიშის ტექსტში თითოეული ღონისძიებისთვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და ფინანსური და ფიზიკური ინდიკატორებით, მათი ილუსტრირება, მკაფიო ახსნა-განმარტებებთან ერთად. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ, სააგენტოების მიერ მოწოდებულ მონაცემებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, საბოლოო ანგარიშის მომზადება.

ნაწილი 3. 2015-2017 წლების რგპ-ს მართვასთან, განხორციელებასა და პროგრამირებასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები

„2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობა და შესრულების ხარისხი კიდევ უფრო მეტად უმჯობესდება, თუმცა კვლავ არსებობს ბარიერები, რომლებიც უმეტესწილად, პროგრამის მართვის სხვადასხვა ასპექტებს (მათ შორის მონიტორინგს) და პროექტების განხორციელებას უკავშირდება, რომელიც მომდევნო თვეებში უნდა აღმოიფხვრას, რათა შეიქმნას რეგიონული პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანი სისტემა საქართველოში. გარკვეულ სფეროებში მიღებული მცირე პროგრესის გამო, ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები ნაწილობრივ იმეორებს 2015 წლის წლიური მონიტორინგის ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებს.

1. სხვადასხვა ღონისძიებებს, უწყებებსა და სამინისტროებს შორის არათანაბარი განხორციელების ხარისხისა და მონიტორინგის პროცესის გათვალისწინებით, საქართველოს ადმინისტრაციებში თანამშრომელთა შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება კვლავ საჭიროა, რათა უზრუნველყონ ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, პროგრამირების, განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხების მართვა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის ეს საკითხი პრიორიტეტული უნდა იყოს და მაქსიმალურად გამოიყენოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის, **„რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა II,** ფინანსური და ადამიანური რესურსები. (პროექტი ოფიციალურად 12 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ ჯერ ისევ საწყის ფაზაშია). სამინისტროებისა და უწყებების მიერ ანგარიშში წარმოდგენილი საჭიროებები ამ მიმართულებით შეიძლება დაკმაყოფილდეს, როგორც ჰორიზონტალური პროგრამებით - მთლიანად ადმინისტრაცია ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე (მაგ: სახელმწიფო შესყიდვები, მონიტორინგის პროცესი, მათ შორის მოსალოდნელი შედეგები და სხვა ინდიკატორები, პროექტის მართვის ციკლი), ასევე უფრო მეტად ფოკუსირებული აქტივობებით, რომელიც ტრენინგის საჭიროებების ანალიზს დაეფუძნება და გამიზნული იქნება ადმინისტრაციის სხვადასხვა ჯგუფებისთვის ან შეირჩევა თემატურად (მაგ: ევროკავშირის

გარემოსდაცვითი სტანდარტები, ინოვაციების ხელშეწყობა, ადგილობრივი განვითარება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის და განვითარების ტექნიკური ნორმები და სტანდარტები).

2. როგორც უკვე აღინიშნა 2015 წლის პროგრამის წლიურ ანგარიშში, ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში დაგეგმვის/პროგრამირების და მონიტორინგის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობებისთვის, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, თანამშრომელთა რაოდენობის გარკვეული ზრდისა და გადამზადების საჭიროება არსებობს; ამის მიზანშეწონილობა კიდევ უფრო გამოიკვეთება ევროკავშირსა და საქართველოს შორის თემატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების ფონზე.

3. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის პროცესის სანდოობის და სიზუსტის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებისთვის მუშაობის გაგრძელების საჭიროება არსებობს, რომელიც გულისხმობს:

ა. 2016 და 2017 წლებში პროგრამის ფინანსური შესრულების გაზომვისთვის ათვლის წერტილის უკეთ განსაზღვრას;

ბ. 2017 წლისთვის ფიზიკური სამიზნეების (მყისიერი შედეგების ინდიკატორების) განსაზღვრა შესაბამისი უწყებების მიერ;

გ. უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრისთვის **2016 წლის ბოლოს, პროგრამის განხორციელების პროცესის დასრულების შემდგომ, უნდა მომზადდეს სათანადო კვლევა და მთლიანად, რგპ-ს ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება.**

დ. რგპ-ის განმახორციელებელ უწყებებთან კონსულტაციების და მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციები საფუძველზე, რომელიც ეხება რგპ-ის ანგარიშისთვის შესავსები ცხრილების რაოდენობას, მიზანშეწონილად და აუცილებლად ჩაითვალა რათა მოხდეს ფინანსურ მონაცემებთან დაკავშირებული ანგარიშგების პროცედურების შემდგომი გამარტივება, მონაცემების ამსახველი ცხრილების ერთ კონსოლიდირებულ დოკუმენტში ასახვით. თავის მხრივ აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს მიღწერული შედეგების უკეთეს ხილვადობას და შესაბამის ინფორმაციაზე მარტივ ხელმისაწვდომობად, ასევე გამორიცხავს ინფორმაციის დუბლირებას საბოლოო დოკუმენტსა და მის დანართებში.

4. დ. ცალკეულ რეგიონში ღონისძიების განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესის შესახებ მეტი ინფორმირება. ამას შესაძლოა დაემატოს ITI მონიტორინგის მხარდამჭერი ინსტრუმენტის შექმნა, რაც მონაცემების შეგროვებასა და მის ანალიზს გაამარტივებს. ზოგიერთი სამინისტროს და განმახორციელებელი უწყების მიერ გაკეთებულ კომენტარებთან დაკავშირებით და რგპ-ს აქტივობების განხორციელების და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, **სამინისტროებს, უწყებებს და სხვა ჩართულ მხარეებს შორის**, რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის/პროგრამირების, მონიტორინგის და განხორციელების კუთხით, **კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროება არსებობს.** ეს შესაძლოა მოიცავდეს:

ა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება რეგიონული პოლიტიკის სფეროში სხვადასხვა

მაკოორდინირებელი აქტივობების განსახორციელებლად, მათ შორის, კადრებით გაძლიერება, დამატებითი ტრენინგები, მეტი უფლებამოსილება პროგრამირების, მონიტორინგის და განხორცილების სტანდარტების შემოღების კუთხით და სექტორული პოლიტიკის ტერიტორიული განზომილების გამოყენება.

ბ. კოორდინაციის გაუმჯობესება იმ უწყებებსა და ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც ერთიდაიგივე სფეროში ოპერირებენ (მაგ: მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მაკოორდინირებელი სტრუქტურული ერთეული სამინისტროში). აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთიდაიგივე ტიპის პროექტების შერჩევის კრიტერიუმების ჰარმონიზაციას - რაც თავის მხრივ, საჯარო უწყებებს შორის გადაფარვების რისკებს შეამცირებს, გააუმჯობესებს დაგეგმვას და უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ხარჯვის გაზრდილ ეფექტიანობასა;

5. რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელობისა და მისი მიზნების მიმართ საზოგადოების ზოგადი ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები) ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა უშუალოდ რგპ-ს მომზადებისა და განხორციელების მონიტორინგის/შეფასების პროცესში.

დანართი 1. პროგრამის ღონისძიებების დონეზე ფინანსური და ფიზიკური პროგრესის მოკლე შეჯამება

1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

ღონისძიება	საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის დასახელება	2016				2016		
			სამიზნე ღირებულება; მლნ ლარი	ფაქტობრივი ხარჯი; მლნ ლარი/%			განხორციელების პროგრესი (%)		
				I ნახევარი	II ნახევარი	ჯამი	I ნახევარი	II ნახევარი	ჯამი
1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა	**სულ**	**სულ პრიორიტეტისთვის 1 გამოყოფილი თანხა**	**698.3**	**275.0**	**0.0**	**275.0**	**39.4**	**0.0**	**39.4**
1.1 საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები		**სულ ღონისძიებისთვის 1.1 გამოყოფილი თანხა**	**506.7**	**197.2**	**0.0**	**197.2**	38.9	0.0	38.9
	25 02 02 (გამოკლებით 25 02 02 05 და 25 02 02 07)	გზების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.	**233.7**	105.5		105.5	45.1	0.0	45.1
	25 02 03	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	**273.0**	91.7		91.7	33.6	0.0	33.6

2016 წელს საგზაო სექტორის მთავარ პრიორიტეტს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის E-60 და E-70 საერთაშორისო დერეფნებში მშენებლობის პროექტები წარმოადგენს (საბიუჯეტო კოდი 25 02 03), რომელიც ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილს აკავშირებს (ბათუმი- თბილისი-ფოთი-წითელი ხიდი). 2016 წლის პირველ ნახევარში სამშენებლო აქტივობა მიმდინარეობდა სულ 85 კმ. საგზაო მონაკვეთზე საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში. ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა, ჯამში, 18,2 კმ გზაზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 83 კმ საავტომობილო გზასა და აშენდა 3 ახალი საავტომობილო ხიდი. ამ ღონისძიების 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 33.6% იქნა გამოყოფილი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს. მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ტარდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6000კმ-მდე საავტომობილო გზაზე. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საგზაო მონაკვეთებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრის, გზისპირა კლდეებიდან ქვისცვენის კერების გაწმენდისა და პრევენციის, ასევე, ზამთრის პერიოდში გზებზე თოვლწმენდისა და განვლადობის უზრუნველყოფის სამუშაოები.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

• გზების უსაფრთხოების გაძლიერება და მართვის პირობების გაუმჯობესება, მგზავრობის ხანგრძლივობის შემცირება, განსაკუთრებით საქართველოს ურბანულ ცენტრებს შორის (თბილისი- ქუთაისი-ბათუმი);

• გზების ტექნიკური და ოპერატიული პირობების გაუმჯობესება, უფრო კომფორტული და დროის ნაკლებ დანახარჯებთან დაკავშირებული მგზავრობის უზრუნველყოფა;

• გზების ოპერაციული ხარისხის და უსაფრთხოების ამაღლება.

1.2 მყარი ნარჩენების მართვა

1.2 მყარი ნარჩენების მართვა		**სულ ღონისძიებისთვის 1.2 გამოყოფილი თანხა**	**8.4**	**3.7**	**0.0**	**3.7**	43.6	0.0	43.6
	25 03 07	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვა	**5.5**	3.0		3.0	54.5	0.0	54.5
	25 03 08	ქუთაისის ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EU, KFW)	**1.6**	0.5		0.5	34.1	0.0	34.1
	25 03 09	ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA)	**1.3**	0.1		0.1	9.2	0.0	9.2

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხუთწლიან სტრატეგიულ მიზნად (იხ. http://waste.gov.ge/ge/?page_id=57, გვ. 20-21) განსაზღვრულია არსებული ნაგავსაყრელების გარემოზე, ადამიანზე და ეკოსისტემებზე მავნე ზემოქმედების შემცირება მათი რეაბილიტაციითა და აღდგენის გზით, ისევე როგორც კონკრეტულ რეგიონებში ნაგავსაყრელების გამსხვილება და ცალკეულ ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა.

მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში 2016 წლის პირველ ნახევარში მიმდინარეობს ქ. რუსთავის, ასევე, იმერეთი-ტყიბული, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და ცაგერის ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის სამუშაოები და ნაგავსაყრელების - სამცხე -ჯავახეთის რეგიონში - ბორჯომი, დ. ბაკურიანი, ქვემო ქართლის რეგიონში - ქ. წალკა, დ. მანგლისი, სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონში - ქ. მარტვილი, დახურვის სამუშაოები. ამ პროექტების დასრულება 2016 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ასევე მიმდინარეობს 3 გადამტვირთი სადგურის მოწყობა (ქ. ბორჯომი – ბორჯომ–ბაკურიანისთვის; დ. მანგლისი – მანგლისი–წალკისთვის; დ. მესტია – ზემო სვანეთისათვის). საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი რესურსების 54.5% იქნა გაცემული.

ქუთაისის (იმერეთის) ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის (EU, KFW) - საბიუჯეტო კოდი 25 03 08) 2016 წლისთვის გამოყოფილი თანხა 1.6 მილიონი ლარია. 2016 წლის პირველ ნახევარში 34.1% იქნა გამოყოფილი - აღნიშნული თანხა საკონსულტაციო კომპანიების მომსახურების ანაზღაურებას წარმოადგენს. ნაგავსაყრელის გახსნა 2018 წლისთვის არის დაგეგმილი.

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში (EBRD) 25 03 09 - ახალი ნაგავსაყრელის გახსნა 2019 წლისთვის არის დაგეგმილი. 2016 წლისთვის გამოყოფილი თანხა 1.3 მილიონი ლარია, წლის პირველ ნახევარში ათვისებულ იქნა

გამოყოფილი თანხის 9.2% რომელიც საკონსულტაციო კომპანიების ანაზღაურების და ბანკისათვის გადახდილ ადმინისტრაციულ გადასახადისთვის დაიხარჯა. პროექტი 2019 წლისთვის დასრულდება.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

• გარემო პირობების გაუმჯობესება ნაგავსაყრელების ცენტრალიზებისა და დახურვის გზით, მუნიციპალური ნარჩენების გადამისამართება;

• გარემოსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პირობების გაუმჯობესება.

1. 3. წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები

რეგიონებში წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების პროექტებს მუნიციპალური განვითარების ფონდი და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდი აგრძელებს ქობულეთის (აჭარის ა/რ) წყალარინების პროექტის (25 04 01) განხორციელებას, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის, ORET-ნიდერლანდების ექსპორტის განვითარების პროგრამის და აჭარის მთავრობის მონაწილეობით ფინანსდება. მომსახურების მომწოდებელთან შექმნილი პრობლემების გამო, პროექტი შეჩერდა და 2016 წლის აპრილში დაიწყო. პროექტი 2016 წლის დეკემბერში მთავრდება, 2016 წლის პირველ ნახევარში გამოყოფილი თანხის 75% იქნა ათვისებული.

1.3 წყალმომარაგება, კანალიზაციისა და წყალარინების სისტემები	**სულ კოდიდან 25 04**	**სულ ღონისძიებისთვის 1.3 გამოყოფილი თანხა**	**162.6**	**64.8**		**64.8**	39.8	0.0	39.8
	25 04 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)	**1.6**	1.2		1.2	75.0	0.0	75.0
	25 04 02	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)	**0.6**	0.1		0.1	17.8	0.0	17.8
	25 04 03	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)	**30.0**	12.9		12.9	42.9	0.0	42.9
	25 04 04	საკანალიზაციო სისტემის მდგრადი მართვის პროექტი (SIDA)	**6.9**	0.3		0.3	4.7	0.0	4.7
	25 04 05	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროექტი	**120.0**	46.6		46.6	38.8	0.0	38.8
	25 04 07	რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებები	**3.7**	3.7		3.7	100.0	0.0	100.0

წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი - EIB 25 04 02) მოიცავდა წყალმომარაგების სიტემების რეაბილიტაციის სამუშაოებს სამ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში: გურია - ჩოხატაური (მესამე ფაზა); იმერეთი - ზესტაფონი და თერჯოლა. საანგარიშო პერიოდში ჩოხატაურისა და ზესტაფონში მიმდინარე სამუშაოები დასრულდა, ხოლო თერჯოლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია კვლავ მიმდინარეობს. გამოყოფილი თანხები სრულად არ არის გაცემული (17.8% 2016 წლის ბიუჯეტიდან) ამიტომ, ახალი ქვე-პროექტის დაემატა.

წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტი II-ის ფარგლებში (EIB, EU) – 25 04 03 წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა კახეთის რეგიონში: ახმეტა, ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი -კურდღელაური, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში - ონი; იმერეთის რეგიონში - ტყიბული და ზესტაფონი; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში- აბაშა, ხობი, სენაკი; გურიის რეგიონში- ოზურგეთი; მცხეთა- მთიანეთის რეგიონში - ქვერელი, დუშეთი; ქვემო ქართლის რეგიონში - თეთრიწყარო, წალკა, ბოლნისი; სამცხე-ჯავახეთში- ახალციხე, ასპინძა, ლიკანი-წაღვერი.

2016 წლის პირველ ნახევარში პროექტები დასრულდა გურჯაანში, ახალციხე- ასპინძასა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, ხოლო დანარჩენი კვლავ მიმდინარეობს. უკვე ათვისებულია წლიური გამოყოფილი ბიუჯეტის 42.9%.

წყალარინების სიტემის მდგრადი მართვის პროექტის (SIDA) – 25 04 04 ფარგლებში აშენდება წყლის გამწმენდი ნაგებობები იმერეთში - წყალტუბოსა და კახეთში - თელავის მუნიციპალიტეტებში. თუმცა, მშენებლობისთვის ტენდერი 2016 წლის აპრილში გამოცხადდა, ამიტომ სამუშაოები 2016 წლის პირველ ნახევარში არ დაწყებულა. შესაბამისად, გაცემული თანხის ოდენობა დაბალია - 4.7%.

ურბანული მომსახურების განვითარების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში (25 04 05) რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საკანალიზაციო სისტემის მილების სიგრძემ შეადგინა - 19.11 კმ, ხოლო რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული წყლის სისტემის მილების სიგრძემ შეადგინა - 131.16 კმ. საბიუჯეტო კოდი ასევე მოიცავს წყალმომარაგების სათაო ოფისის მშენებლობის ხარჯებს - 0,8 მილიონი ლარი. ამასთანავე, აღნიშნულ პერიოდში მოცემული პროგრამის ფარგლებში ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა - 46.6 მილიონი ლარი, რომელიც წლიური გამოყოფილი თანხის 38.8%-ია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ რეგიონული ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში (25 04 07) დაასრულა ორი პროექტი და აგრძელებს რამდენიმე პროექტს სხვადასხვა რეგიონში.

2016 წლის პირველ ნახევარში დასრულდა შემდეგი პროექტები: 2016 წლის აპრილში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია ქუთაისში (იმერეთი) და ფოთში (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში შემდები პროექტები განხორციელდა: მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ანაკლიის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ურეკის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა, ურეკის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ქუთაისის წყალმომარაგების

სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია - II ფაზა, ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა, ფოთის კანალიზაციის ქსელების მშენებლობა, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სათაო ოფისის მშენებლობა. წლიური ასიგნებიდან გაცემული თანხის ოდენობამ 100% შეადგინა.

ადგილმდებარეობები წარმოადგენენ კონტრაქტების სამიზნეებს, მაშინ როცა მილების სიგრძისა და მომხმარებელთა რაოდენობის გამოთვლა შესაძლებელია მხოლოდ კონტრაქტის დასრულების შემდგომ. ამიტომ ცხრილში #7 ინდიკატორის სამიზნეები არ არის წარმოდგენილი.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებით მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობის გაზრდა;

- საქართველოს რეგიონებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

1.4 "ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა"

ეს ღონისძიება მოიცავს ორ კომპონენტს: პირველ კომპონენტს - ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირება და პრევენციის სამუშაოები (25 02 02 05) და ნაპირსამაგრი სამუშაოები (25 02 02 07), რომლებსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. ხოლო მეორე კომპონენტს - გარემოს დაცვა, მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (38 08) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივის რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

იმ ნაწილის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს, წლის პირველ ნახევარში ბუნებრივ კატასტროფებზე დაუყოვნებელი რეაგირების და პრევენციის მიზნით სამუშაოები მიმდინარეობდა 21 ლოკაციაზე, აქედან 10-ზე მუშაობა დასრულებულია. ინტენსიური სამუშაოების შედეგად, ათვისებულ იქნა გამოყოფილი თანხის 78,8%. თუმცა, ნაპირსამაგრი სამუშაოები 9 ლოკაციაზე კვლავ მიმდინარეობს, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში, 3 პროექტზე მუშაობა დასრულდა, რომლისთვისაც გაცემული მთლიანი თანხა

გამოყოფილი ასიგნების 11% შეადგენს. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დამოკიდებულია ამინდის პირობებზე, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის და ადრეული გაზაფხულის პერიოდში.

1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა		**სულ ღონისძიებისთვის 1.4 გამოყოფილი თანხა**	**16.2**	**8.5**		**8.5**	53.1	0.0	53.1
ქვე-ღონისძიება (ა): კატასტროფების რისკის შემცირება	25 02 02 05	ბუნებრივი კატასტროფების სალიკვიდაციო სამუშაოები და პრევენციული ღონისძიებები	**8.5**	6.7		6.7	78.8	0.0	78.8
	25 02 02 07	სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები	**5.0**	0.5		0.5	11.0	0.0	11.0
	38 08	გარემოს დაცვა, მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (მხოლოდ საკუთარი რესურსები)	**2.7**	1.3		1.3	50.2	0.0	50.2

იმ ღონისძიების ფარგლებში, რომელსაც გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს, წლის პირველ ნახევარში სააგენტოს მიერ შემდეგი დოკუმენტები მომზადდა:

- ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2015 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2016 წლისთვის“;
- მომზადდა მდ. გლდანის ხევის წყალშემკრები აუზის გეოლოგიური ანგარიში;
- განხორციელდა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და მომზადდა 27 დასკვნა, სადაც შეფასებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების, საინჟინრო ნაგებობების, დაძაბული უბნების გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა;
- მომზადდა თბილისის ფურცლის (K-38-XXI) გეოლოგიური ანგარიში, 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური, ტექტონიკური და სასარგებლო ნამარხების რუკები.
- მომზადდა მიწისქვეშა წყლების საინფორმაციო ბიულეტენი;
- მომზადდა საქართველოს ჰიდროგეოლოგიური ოლქების, რაიონების და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების (რეგიონების), მუნიციპალიტეტების მიხედვით მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების საექსპლუატაციო რესურსების გავრცელების რუკა (მასშტაბი: 1:500 000);
- მომზადდა სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;

- წიაღით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ წარმოდგენილ 608 ობიექტზე მომზადდა გეოსაინფორმაციო პაკეტები;

- მიმდინარეობდა გეოლოგიურ ფონდებში დაცული ინფორმაციის ციფრულ ფორმატში გადაყვანა;

- 2016 წელს რეგულარულად, დღე-ღამურ რეჟიმში ტარდებოდა დაკვირვებები მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის მიზნით;

- მომზადდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ასევე მასმედიის საშუალებებს მიეწოდა გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ საანგარიშო პერიოდში გაიცა 29 გაფრთხილება;

- ოპერატიულად წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების კოდირება (მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად), მათი შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გავრცელება;

- ოპერატიულად წარმოებდა ამინდის პროგნოზის მსოფლიო ცენტრებიდან (საფრანგეთი-ტულუზა, ინგლისი-რედინგი) გლობალური სინოპტიკური პროდუქციის (რუქები, დიაგრამები, სურათები) მიღება და ანალიზი;

- ყოველდღიურად დგებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზები;

- მომზადდა და მომხმარებელს მიეწოდა გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი;

- საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;

- ივნისის თვეში მდ. დევდორაკ-ამალის მდ. თერგთან შეერთების მონაკვეთში არსებული რისკების თავიდან ასაცილებლად გაფრთხილების სისტემის ორგანიზების მიზნით, დაწესდა გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების დღე-ღამურ რეჟიმში მორიგეობა.

- რეგულარულად ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მეთოდური ზედამხედველობის სამუშაოები. მოწმდებოდა დაკვირვებების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ფასდებოდა მონაცემთა ხარისხი;

- რეგულარულად ტარდებოდა ისტორიული და მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემთა ხარისხის კონტროლი და სტატისტიკური დამუშავება;

- დევდორაკ-ამალის ხეობაში ჩატარდა გეოდეზიური სამუშაოები. დაიგეგმა მდ. ამალის მარცხენა და მარჯვენა ნაპირები, სადაც ადრეული შეტყობინების სისტემის ინსტალაციისათვის უნდა მომზადდეს სპეციალური საბაგირო სისტემა. შესყიდულ იქნა მომსახურება საბაგირო სისტემის პროექტირების მიზით. არსებული ინფორმაციით პროექტირება დასრულდა და უახლოეს მომავალში დაიწყება სამშენებლო სამუშაოები;

- მდ. ვერეს აუზში დასრულდა მეტეოროლოგირი და ჰიდროლოგიური დაკვირვების ხელსაწყო-დანადგარების (5 ერთეული ნალექმზომის და 3 ერთეული წყლის დონისმზომის) სამონტაჟო-გასამართი სამუშაოები;

- მდ. გლდანულაზე დამონტაჟდა 1 ერთეული ნალექმზომი, დამონტაჟების სტადიაშია წყლის დონის მზომი ხელსაწყო-დანადგარი;

- დაინერგა სამეცნიერო კვლევით ცენტრ „დელტა“-ს მეტეოროლოგიური რადარიდან მიღებული ინფორმაციის მიმღები ტექნოლოგია.

- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ ჩატარდა საერთაშორისო სწავლება - "აგრომეტეოროლოგიის სფეროში სატელიტური ინფორმაციის გამოყენება". სწავლებაში მონაწილეობდნენ უკრაინის, მოლდოვას, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლები;

- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის და აშშ-ს ჰიდროლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარდა საერთაშორისო ღონისძიება - "შავი ზღვის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სწრაფად განვითარებადი წყალმოვარდნების პროგნოზირება". სწავლებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უკრაინის, მოლდოვას, ლიბანის, იორდანიის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლები.

ზემოთხსენებული სამუშაოების ფაქტიური დანახარჯი შეადგენს 1.3 მილონ ლარს, რაც წლიური გამოყოფილი თანხის 46,5%-ია.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

• ეროზიის პრევენცია და წყალდიდობის შედეგებისგან მოსახლეობის დაცვა;

• რეაბილიტირებული გზების საშუალებით გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გადაადგილების გაუმჯობესება;

• გარემოს დაბინძურებისა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლო რისკების შემცირება.

1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება

საანგარიშო პერიოდში ამ ღონისძიების ფარგლებში (სახაზინო კოდი 38 04) სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რისთვისაც მთლიანი გამოყოფილი ბიუჯეტის 45,8% იქნა ათვისებული.

1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	**სულ კოდიდან 38 04**	**სულ ღონისძიებისთვის 1.5 გამოყოფილი თანხა**	**4.2**	**0,9**		**0,9**	21.8	0.0	21.8

	38 04 02	ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები	**0.8**	0.3		0.3	43.3	0.0	43.3
	38 04 03	ტყითსარგებლობის ღონისძიებები	**2.4**	0.1		0.1	2,9	0.0	2,9
	38 04 04	ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები და ტყის მდგრადი მართვა	**0.5**	0.1		0.1	29.3	0.0	29.3
	38 04 05	ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები	**0.5**	0.4		0.4	73.0	0.0	73.0

სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის კუთხით, შემდეგი სამუშაოები ჩატარდა:

- ტყის მოვლა-აღდგენის მიმართულებით გაგრძელდა მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთში; განხორციელდა ტყის დროებითი სანერგეების მოწყობის სამუშაოები. მომზადდა 12 ტყის აღდგენის პროექტი საქართველოს 6 სხვადასხვა რეგიონში: გურიაში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში;

- ტყითსარგებლობის მიმართულებით განხორციელდა სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის მასივებში მოსაწყობი (ახალი გზა) და სარეაბილიტაციო სატყეო-სამეურნეო გზების სავარაუდო მონაცემები განსაზღვრა;

- მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, მომზადდა პროექტები, დაპროექტდა სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია (მოსაწყობი - 14,429 კმ, ხოლო სარეაბილიტაციო - 61,892 კმ).; შეძენილ იქნა 1 ერთეული სპეციალური მძიმე ტექნიკა-ბულდოზერი სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობის მიზნებისათვის;

- ტყის აღრიცხვის მიმართულებით განხორციელდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სატყეო უბნების ფართობები და საზღვრები. განხორციელდა მერქნული რესურსის მარაგების დადგენა-დაზუსტება, მოინიშნა სპეციალური ჭრის ტყეკაფები; სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია რეგიონებში (სატაქსაციო დახასიათება);

- მიმდინარეობდა მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარებისათვის.

- საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები. დონორი ორგანიზაციების დახმარებით მოეწყო სასწავლო ტურები სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით. 400-მა ტყის მცველმა მაისი-ივნისის თვეების განმავლობაში ,,ტყის მდგრადი მართვის“ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით გაიარა. ტრენინგ

კურსის "ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები" მიზანი იყო ტყის მდგრადი მართვისათვის ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მცველთა კვალიფიკაციის ამაღლება შემდეგი მიმართულებებით: ტყის მცველის მოვალეობები და ძირითადი საქმიანობა, გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდიკა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ხის ჭრის სახეები და ტყის დაცვა დაავადებებისაგან;

- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გამაფრთხილებელი ნიშნები და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა შეძენილ იქნა (გამაფრთხილებელი ბანერები - 90 ელემენტი, და ხანძარსაწინააღმდეგო ზურგჩანთები - 96 ერთეული);

- მიმდინარეობს ნორმატიული საკანონმდებლო აქტების სრულყოფა, 2016 წლის პირველ ნახევარში შესწორდა 2 ძირითადი კანონქვემდებარე აქტი-„ ტყითსარგებლიანობის წესები“. ცვლილებების 2 პაკეტი მიღებულ და დამტკიცებულ იქნა და ასევე "ხე-ტყის მართვის წესებში" შესწორებების 2 პაკეტი იქნა მიღებული. გარდა ზემოთხსენებულისა, მომზადდა რამდენიმე ცვლილებების პაკეტი, სათანადო პროცედურებისა და განხილვების შემდგომ, მისი დამტკიცების მიზნით. მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ტყითსარგებლობის მიმართულებით:

- გაიცა ნებართვა 19 ერთეულ ობიექტზე (87056.36 მ^2), სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის;

- გაფორმდა ხელშეკრულება კახეთის, მხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის (ჯამში 59616 მ^2) (იჯარა);

- ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული და დასაწყობებულია 2652მ^3 მერქნული რესურსი;

- სატყეო სამსახურების მიერ გამოყოფილ იქნა 74’993,55 მ^3 მოცულობის ტყეკაფი;

განხორციელდა სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის მასივებში მოსაწყობი (ახალი გზა) და სარეაბილიტაციო სატყეო-სამეურნეო გზების პროექტის შედგენის სამუშაოები: დაპროექტებული იქნა სულ 76,32 კმ გზა, მათ შორის: მოსაწყობი - 14,429 კმ, ხოლო სარეაბილიტაციო - 61,892 კმ.

ტყის აღრიცხვის მიმართულებით:

● მიმდინარეობდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სატყეო უბნების ფართობების და საზღვრების დაზუსტება, სამცველოების ელექტრონული Shape-ფაილების მომზადება.

● განხორციელდა მივლინება კახეთის რეგიონში სააგენტოს ბალანსზე რიცხული შენობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადების მიზნით;

- სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია:

- 989146,73 კვ.მ - სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის;
- 34.25 ჰა - სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის (იჯარა);
- 468,72 ჰა - ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღითსარგებლობისათვის ფართობების შესწავლა;
- ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების შესწავლა - მოთხოვნილია 305 ჰა;
- სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაცემის მიზნით - 102456,3 ჰა ფართობი.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

• საქართველოს ტყეებში არსებული მდგომარეობისა და მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაციის არსებობა და ცნობიერების ამაღლება;

• საქართველოს ტყეების მართვის ახალი სტანდარტებს გამოყენება.

2. რეგიონებში ბიზნესის მხარდაჭერა ინსტიტუციური და პროგრამული ინიციატივებით

2 - მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა	24 01 03 02	მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა	25.1	13.1		13.1	52.2	0.0	52.2

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამა (საბიუჯეტო კოდი - 24 01 03 02) მიზნად ისახავს საქართველოში კერძო სექტორის განვითარებას ფინანსებზე და ტექნიკურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან: არსებული ბიზნესებისთვის სესხების და ლიზინგის უზრუნველყოფა და მიკრო და მცირე დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა.

სახელმწიფო პროგრამის ინდუსტრიული მიმართულება მოიცავს პროგრამის ფარგლებში მონაწილე კომპანიების მიერ ბიზნესის განვითარებისთვის მიღებულ კომერციულ სესხზე და/ან ლიზინგის ობიექტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 2 წლის განმავლობაში. აღნიშნული მიმართულებით 2016 წლის 1 ნახევრის განმავლობაში მხარი დაეჭირა 32 მეწარმე სუბიექტს (ქ. თბილისის და აჭარის ა/რ ჩათვლით), რომელთა მიერ განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 30 მლნ. ლარს. პროგრამის მეშვეობით კომერციული ბანკებიდან მოხდა 53 მლნ. ლარზე მეტი კომერციული სესხის გაცემის სტიმულირება.

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულებით სამიზნე რეგიონებში შეიქმნა 493 მიკრო და მცირე ტიპის ბიზნესი, რომელიც ქმნის 1922 ახალ სამუშაო ადგილს საქართველოს რეგიონებში, ხოლო გადამზადდა 3164 ბენეფიციარი. სააგენტომ ასევე მხარი დაუჭირა 42 მიკრო და მცირე ტიპის საწარმოს აჭარის ა/რ-ში, რომელიც ქმნის დამატებით 159 ახალ სამუშაო ადგილს, ხოლო გადამზადება გაიარა 552-მა ბენეფიციარმა.

მთლიანი გამოყოფილი ბიუჯეტის 52,2% იქნა ათვისებული.

.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

• ინვესტიციებისა და სესხების მოცულობის ზრდა;

• მხარდაჭერის მიმღებ საწარმოთა რაოდენობის ზრდა.

3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზაცია

3. სოფლის მეურნეობის განვითარება		**სულ პრიორიტეტისთვის 3 გამოყოფილი თანხა**	**272.**	**115.5**		**115.5**	**42.5**	**0.0**	**42.5**
3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზება	**სულ კოდიდან 37 01**	**სულ ღონისძიებისთვის 3.1 გამოყოფილი თანხა**	**86.7**	**21.3**		**21.3**	24.5	0.0	24.5
	37 01 14 01	ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB)	**20.0**	7.9		7.9	39.3	0.0	39.3
	37 01 03	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	**63.0**	13.4		13.4	21.3	0.0	21.3
	37 01 14 03	ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO)	**3.7**	0.0		0.0	0.0	0.0	0.0

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ 2016 წლის პირველ ნახევარში საირიგაციო სისტემების 50 სარეაბილიტაციო პროექტი განახორციელა, მათ შორის 12 პროექტზე სამუშაოები დაიწყო ქვემო ქართლში (გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული), კახეთში (გურჯაანი, თელავი, სიღნაღი), მცხეთა-მთიანეთში (დუშეთი), შიდა

ქართლში (კასპი), იმერეთსა (წყალტუბო) და აჭარაში (ქობულეთი). კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

შეუსრულებლობის გამო შეწყვეტილია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე გაფორმებული 4 ხელშეკრულება.

2016 წლის პირველ ნახევარში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის (37 01 14 01) ფარგლებში დასრულებულია სულ 12 პროექტი, მათ შორის საირიგაციო სისტემებზე დასრულდა 10 პროექტი, დამშრობ(სადრენაჟე) სისტემებზე 2 პროექტი.

პროგრამის ინდიკატორები შესრულდა შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- რეგულარულ სარწყავში გადაყვანილი მიწის ფართობი (დამატებით გასარწყავებული ფართობი) 5,78 ათასი ჰა.
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება 3.05 ათასი ჰა.
- მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება-3.0 ათასი ჰა
- დაშრობილი ფართობი 1,26 ათასი ჰა.

ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით იგივე პრობლემები გამოვლინდა, რაც წინა წლებში დაფიქსირდა: მელიორირებულ ფართობების კადასტრის არ არსებობის გამო ვერ აღირიცხება სამელიორაციო ფონდის რეალური მაჩვენებლები. 2016 წლის პირველ ნახევარში 7.9 მილიონი ლარი გაიცა, რაც სამიზნე ღირებულების 39.3% შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში (37 01 03) შემდეგი სამუშაოები შესრულდა: გაიწმინდა და მოწესრიგდა 1087,7 კოლომეტრი საირიგაციო და სადრენაჟე არხი, შეკეთდა 11,0 კილომეტრი მილსადენი. გარემონტდა და ახლით შეიცვალა 1032 ერთეული სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა. 2016 წლის პირველ ნახევარში, ამ პროექტის ფარგლებში, საბიუჯეტო ასიგნებების 21.3% იქნა ათვისებული.

შპს „საქართველოს მელიორაციას“ სჭირდება დაახლოებით 1,0 მილიარდი ლარის ინვესტიცია, რათა განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გამიზნული შედეგის მიღწევა - გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებლების გასამმაგება.

,,ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია "ORIO“(37 01 12 04). შპს „საქართველოს მელიორაციის“ და პროექტის მრჩეველი საკონსულტაციო კომპანიის- Maatwerk van Monfort B.V- წარმომადგენელებთან არაერთი განხილვების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა პროექტის ტერიტორიაზე აღწერის გაკეთება, მიწების 1/3-ის პოტენციური მფლობელების დასადგენად, რომელნიც არ არიან რეგისტრირებულნი. გაკეთდება ბაზები, სადაც ასახული იქნება მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფართობები თუ ვის მფლობელობაშია ეს თუ ის მიწის ნაკვეთი.

S.C. EPTISA Romania S.R.L-მა მოითხოვა გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზეგავლენის შეფასების და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის წარმოდგენის ვადების გადაწევა 2016 წლის ბოლომდე. შესაბამისად, 2016 წლის სექტემბერში წარმოსადგენი ფინანსური გეგმა და ეკონომიკური კვლევა (შედეგი 3) წარმოდგენილი იქნება 2017 წლის 31 მარტისათვის, ხოლო დეტალური საინჟინრო პროექტი (შედეგი 4) 2017 წლის 30 ივნისისათვის.

პროექტის სამიზნეს ჰექტარში გამოსახული ტერიტორია წარმოადგენს. შეუძლებელია პროქტების რაოდენობის დადგენა, სანამ სამუშაოები არ დასრულდება.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- ფერმერებისათვის და სხვა წყალმოსარგებლეებისთვის სარწყავი წყლის შეუფერხებელი მიწოდება;
- დასახლებული პუნქტებიდან და ფერმერების მიერ გამოყენებული ტერიტორიებიდან ჭარბი წყლის თავიდან აცილების მიზნით სადრენაჟო სისტემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების დაცვა წყალდიდობებისგან.

3.2 შეღავათიანი აგრო სესხები (37 01 07)

3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომა (შეღავათიანი აგრო-სესხები)	**37 01 07**	**სულ ღონისძიები სთვის 3.2 გამოყოფილ ი თანხა**	**41.0**	**23.3**		**23.3**	56.7	0.0	56.7

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფინანსური ინსტიტუტების უმრავლესობის მიერ სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსება სარისკოდ არის მიჩნეული, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის აგრო სესხები ხელმისაწვდომი გახდა, სექტორი კი უფრო მიმზიდველი უცხოელი ინვესტორებისთვის.

2016 წელს I ნახევარში შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გაიცა 807 სესხი. 2016 წელს პროექტში სესხების მომსახურების ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს დაახლოებით 22 მილიონ ლარს. 2016 წელს 1 ნახევარში პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 5 ახალი საწარმო. სულ პროექტის მიმდინარეობისას დაფინანსდა 134 ახალი საწარმო (128-შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, 6-აწარმოე საქართველოს ფარგლებში). გამოყოფილი ბიუჯეტის 56.7% იქნა ათვისებული.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- სულ მცირე 50 საკვებ გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა;

• საგაზაფხულო ვაუჩერის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდა;

• ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლეული კულტურების მოცულობის გაზრდა;

• დანაკარგების არსებობის შემთხვევაში, ფერმერებისთვის უზრუნველყოფილია წარმოების ხარჯების ანაზღაურება.

3.3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 05)

3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები	**სულ კოდიდან 37 01 და 35 05**	**სულ ღონისძიებისთვის 3.3 გამოყოფილი თანხა**	**143.7**	**71.0**		**71.0**	49.4	0.0	49.4
	37 01 05	სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შექმნის მხარდამჭერი აქტივობები	**7.2**	0.7		0.7	9.4	0.0	9.4
	37 01 08	მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდაჭერა	**48.3**	44.9		44.9	93.0	0.0	93.0
	37 01 17	სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსება	**14.4**	4.7		4.7	32.6	0.0	32.6
	37 01 14 02	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD)	**4.8**	0.5		0.5	10.8	0.0	10.8
	37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	**26.3**	13.3		13.3	50.5	0.0	50.5
	37 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	**32.8**	3.1		3.1	9.6	0.0	9.6
	37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	**9.9**	3.8		3.8	38.3	0.0	38.3

2016 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სტატუსი მიენიჭა 340 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. აღნიშნული თარიღის მდგომარეობით სულ საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 1540 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, აქედან რეგიონების მიხედვით მათი რაოდენობა შემდეგია: კახეთი - 132, ქვემო ქართლი - 224, შიდა ქართლი - 111, მცხეთა მთიანეთი - 81, სამცხე ჯავახეთი - 353, იმერეთი -123 რაჭა ლეჩხუმი ქვემო

სვანეთი -131, სამეგრელო ზემო სვანეთი-123, გურია - 59, აჭარა - 157. 2016 წლის პირველ ნახევარში გამოყოფპილი თანხის 9.4% იქნა ათვისებული.

არ განსაზღვრულა სამიზნე ღირებულება, რადგან პროექტის დასრულებამადე შეუძლებელია კოოპერატივების რაოდენობის დათვლა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების (37 01 17)

თანადაფინანსება

2016 წელს I ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსება პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 5 ახალი საწარმო 12 მუნიციპალიტეტში: თიანეთი, ყაზბეგი, მესტია, ლენტეხი, ცაგერი, ონი, ხარაგაული, ჭიათურა, საჩხერე, ტყიბული, შუახევი და მარტვილი; გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება განხორციელდება შემდეგი პრინციპით: ა) სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების 60%-ით მაგრამ არაუმეტეს 350 000 აშშ დოლარისა; ბ) შეღავათიანი საბანკო კრედიტი/ლიზინგი განისაზღვრება არაუმეტეს 500 000 აშშ დოლარით; გ) ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%-ით. სპეციალური პირობები ასევე ვრცელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე მხოლოდ ღვინის, სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი საწარმოებისთვის. სპეციალური პირობებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებში შესაქმნელი საწარმოს პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100,000 აშშ დოლარს. გადამამუშავებელი წარმოებისთვის წლიური გამოყოფილი თანხის 32.6% იქნა გაცემული (თანადაფინანსება).

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- ფერმერთათვის აგრო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ფორმით;

- აგრო გადამამუშავებელი კომპანიების წარმოების მოცულობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოდური უსაფრთხოება (37 02)

სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ ყველა რეგიონში სათანადო წესით აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათისა და სასმელი წყლის **1336** ნიმუში/სინჯი. სურსათს ნიმუშების შესასყიდი თანხა შეადგენდა 30 340 ლარს. ლაბორატორიული კვლევებისას გამოვლენილ დარღვევებზე სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა შესაბამისი ბიზნესების შემოწმება, სურსათის გამოთხოვა და დოკუმენტაციის შემოწმება. სურსათის უვნებლობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გამოყოფილი ასიგნების 50.5% იქნა ათვისებული.

მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა (37 02 04)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ (ამერიკული თეთრი პეპელა, ბზის ალურა, არაფარდი პარკხვევია, კალია, ტრანსმისიური გადამტანები) ქვეყნის ტერიტორიაზე შეიწამლა 18 000 ჰექტარი ფართობი.

განხორციელდა სარეალიზაციო ქსელში განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი, შემოწმდა 100 სარეალიზაციო ობიექტი, საანალიზოდ აღებულ იქნა პესტიციდების 150 ნიმუში.

საკარანტინო მავნე ორგანიზმის გავრცელების დასადგენად აღებულია და ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარდა 818 ნიმუშს. მავნებლების გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. საერთო ჯამში მხოლოდ კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში თავიდან იქნა აცილებული 6 მილიონამდე ლარის ეკონომიკური ზარალი. ღონისძიებები განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის თბილისშიც.

მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდაჭერა 37 01 08

2016 წელს I ნახევარში მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდაჭერის პროგრამის ფაქტობრივი ხარჯი დაახლოებით 40,7 მილიონ ლარს შეადგენს. პროექტის განხორციელების შედეგად, ბენეფიციარებმა მიიღეს 40,7 მილიონი ლარის სარგებელი ხვნის სამუშაოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით. ჯამში მოხნულმა მიწის ფართობმა შეადგინა 194 ათასი ჰა, საიდანაც მექანიზაციის კომპანიების მიერ დამუშავდა 80 ათასი ჰა, ხოლო ბენეფიციარების მიერ საკუთარი რესურსებით დამუშავდა 113 ათასი ჰა მიწის ფართობი. ამ პროგრამის ფარგლებში ათვისებულ იქნა გამოყოფილი თანხის 93%. ღონისძიება განხორციელდა ყველა რეგიონში, მათ შორის აჭარის ა/რ და თბილისში.

მევენახეობის განვითარება (37 03)

პროგრამის ფარგლებში ქართული ღვინის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა იაპონიაში, ამერიკაში, ჩინეთში, პოლონეთსა და ლიტვაში. ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხის მხოლოდ 9.6% იქნა ათვისებული.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებები (37.04)

2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ყველა რეგიონში განხორციელდა ექსტენციის პროგრამა, რომლის მიზანს თანამედროვე ტექნოლოგიების, სახეობების და მეთოდების შესახებ ცოდნის, გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება

წარმოადგენდა. აღნიშნული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხიდან 38.3% იქნა ათვისებული.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- ღვინის ექსპორტის მოცულობის ზრდა;
- ბაზრის დივერსიფიკაციის დონის ზრდა;
- მოქმედი ფერმერული კოოპერატივების რაოდენობის ზრდა.

3.4 სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება (26 09)

3.4 სასოფლ ო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება	26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	0.7	0.0		0.0	0.0	0.0	0.0

ეს ღონისძიება მსოფლიო ბანკის კრედიტით ფინანსდება და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ხორციელდება. ამ ღონისძიების მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობის მიწის ბაზრის განვითარების, დანაწევრებული მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციისა და კომერციულ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ზრდის საქმეში.

საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 3 ივნისს მიიღო კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. კანონის შესაბამისად, მიწის ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაციები წარიმართება სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, სპეციალური წესით. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სარეგისტრაციო პროცესი გაიყო ორ ნაწილად:

- სპორადული რეგისტრაცია - რეგისტრაციები ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კანონით გათვალისწინებული შეღავათების გათვალისწინებით.
- საპილოტე პროექტის ფარგლებში სისტემური რეგისტრაცია - სახელმწიფო პროექტის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემურ რეგისტრაციას და ხორციელდება გეოგრაფიული მრავალფეროვნების ნიშნით შერჩეულ საქართველოს 12 დასახლებაში.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში რეგისტრაციები მოიცავს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. სახელმწიფო პროექტის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება განაპირობა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულების მაღალმა მნიშვნელობამ. ეს უკანასკნელი დიდად განაპირობებს, როგორც საკუთრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცვას, ისე მიწის ბაზრის განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას შეუწყობს ხელს.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- ლიზინგის და გაყიდვების რაოდენობის გაზრდა;
- რეგისტრირებული მიწის რაოდენობის გაზრდა.

4.1 ტურიზმის განვითარება (24 05 02)

4.1 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	**24 05 02**	**შიდა ტურიზმი და მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე**	**20.1**	**11.3**		**11.3**	56.2	0.0	56.2

საინფორმაციო ცენტრების მშენებლობა/რეაბილიტაცია დაწყებულია და მიმდინარეობს. 2016 წლის ბოლომდე გაიხსნება და აღიჭურვება 2 ახალი საინფორმაციო ცენტრი. ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2016 წლის პირველ ნახევარში სხვადასხვა თემებზე ჩატარდა 7 ტრენინგი, აქედან 6 რეგიონში და 1 თბილისში.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის და უცხოელი ვიზიტორების მოსაზიდად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2016 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩაატარა სარეკლამო მარკეტინგული კამპანია 16 მიზნობრივ ქვეყანაში, მოაწყო 67 პრეს და გაცნობითი ტური, მონაწილეობა მიიღო 15 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში; მოეწყო დიპლომატიური ტური საქართველოში აკრედიტირებული ელჩებისთვის, მონაწილეობა მიიღო მსოფლიო რბენის მარათონში „wings for life“, მონაწილეობა მიიღო ლაშქრობის სეზონის გახსნაში, მოეწყო ჯომარდობა.

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დამონტაჟდა საინფორმაციო-სარეკლამო მანათობელი ბილბორდები 4 რეგიონში, შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული პროექტი წყალტუბოს რეგიონში, აგრეთვე მომზადდა პროექტი საპიკნიკე ინფრასტრუქტურისთვის (პროექტები განხორციელდება 2017 წელს). გამოყოფილი თანხის 56,2% ათვისებულ იქნა 2016 წლის პირველი ნახევარში.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობის გაზრდა;
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის გაზრდა.

5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა (35 05 03)

5. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ-ნაციონალურ დონეებზე		სულ პრიორიტეტისთვის 5 გამოყოფილი თანხა	**18.5**	**8.2**		**8.2**	44.3	0.0	44.3
5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა	**35 05 03**	შრომის პირობების ინსპექტირება	**0.6**	**0.1**		**0.1**	17.5	0.0	17.5

2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არ ჩაუტარებია კვლევა, რადგან ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში სამ წელიწადში ერთხელ. 2016 წელს საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრა ახალგაზრდების უმუშევრობისა საკითხზე კვლევის ჩატარება - „ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციისა და დასაქმების სტრატეგიების შესწავლა“, რომელიც დასრულდება მიმდინარე წლის ბოლოს. კვლევა ითვალისწინებს თბილისსა და დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებში ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების შესწავლას, ასევე მათ მიერ გამოყენებული დასაქმების სტრატეგიების იდენტიფიცირებას.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- ახალგაზრდების დასაქმებასა და განათლებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდებისთვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა

5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 02)

5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარებ	32 06 02 02	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	**15.2**	**6.3**		**6.3**	41.5	0.0	41.5

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რეგიონებში 26 სრულად აღჭურვილი კოლეჯის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ინიციატივის მიზანია პროფესიულ განათლებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. 2016 წლის

პირველ ნახევარში გაგრძელდა კოლეჯების სასწავლო ბაზების შექმნა-განვითარების პროცესი კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. საქართველოს 2 რეგიონში (იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) დაიწყო სტუდენტური საცხოვრებლების მოწყობა.

კოლეჯების ქსელის გაფართოების პარალელურად, დაწყებულია სტუდენტური საცხოვრებლების განვითარება. ანალიზის შედეგად რეგიონებში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად **განხორციელდა ყველა საჯარო კოლეჯის აღჭურვა.** ამას გარდა, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვნენ ახალი საოფისე ავეჯით, პორტაბელური კომპიუტერებით (ოთხ დაწესებულებას გადაეცა 201 ცალი კომპიუტერი) და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (8 დაწესებულებას გადაეცა 1 432 ერთეული მერხი). ასევე 13 საგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, პროექტორები და ინტერაქტიული დაფები.

ნორვეგიის განათლებისა და კვლევების სამინისტროს მხარდაჭერით უნივერსალური დიზაინის პროექტის შესაბამისად (რომელიც მორგებულია შშმ და სსსმ პირების საჭიროებებზე) დასრულდა 2 კოლეჯის რეაბილიტაცია და სამუშაოები მიმდინარეობს 1 კოლეჯში.

აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო-ქართლის, შიდა ქართლის და იმერეთის რეგიონში.

2016 წლის პირველ ნახევარში 6.2 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, რაც გამოყოფილი თანხის 41.4% შეადგენს.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- მხარდაჭერილი ცენტრების მიერ პროფესიული ტრეინინგების გაუმჯობესებული ხარისხის უზრუნველყოფა;

5.3 სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ექსტენციის სისტემები

5.3 პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები ****		ეს სახსრები არ გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ გააჩნია საბიუჯეტო კოდი	1.8	1.4		1.4	78.1	0.0	78.1

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მიერ მხარდაჭერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის შესახებ. ახალი მიდგომის მიხედვით, როგორც პროგრამის შემუშავება, ასევე უშუალოდ სწავლება, დაეფუძნება მოდულებს/თემებს.

2016 წლის პირველ ნახევარში დაიწყო განხორციელება მოკლევადიანი მოდულური ტრენინგ პროგრამების, ასევე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით.

სამეგრელოს და იმერეთის რეგიონებში მიმდინარეობს 60 დღიანი მოდულური ტრენინგ პროგრამა საველე კონსულტანტებისთვის: იმერეთი 15 მონაწილე; სამეგრელო - 15 მონაწილე; პროგრამის ფარგლებში პარალელურ რეჟიმში 400-მდე ფერმერმა გაიარა კონსულტაციები თხილის მოვლა-მოყვანის საკითხებზე; საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების 25 თანამშრომელმა გაიარა ტრენინგ კურსი პრეზენტაცია-კომუნიკაციის უნარებში. სამცხე-ჯავახეთი რეგიონში მოეწყო 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი; ჩატარდა 16 მინდვრის დღე; 290 ფერმერმა მიიღო კონსულტაციები ახალ ტექნოლოგიებზე მარცვლოვან და პარკოსან კულტურებთან მიმართებაში; 13 საველე კონსულტანტი (აგრონომი) გადამზადდა; რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მოეწყო 1 სადემონსტრაციო ნაკვეთი პარკოსანი კულტურების; ჩატარდა 5 მინდვრის დღე 30 ფერმერმა გაიარა კონსულტაციები პარკოსან კულტურებზე; 4 საველე კონსულტანტი გადამზადდა.

2016 წლის 1 ნახევარში შემუშავდა და გამოიცა შემდეგი მასალები:

- პედაგოგიკური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის გადამზადების მოდულური ტრენინგ პროგრამა;
- 2016 წლის აგრო-კალენდარი;
- მრავალწლიანი კულტურების დაავადებათა ატლასი;
- მარცვლოვნების და პარკოსნების მავნებელ-დაავადებათა აგრო-ტექნოლოგიური ატლასი;
- თხილი - საუკეთესო პრაქტიკა - სახელმძღვანელო;
- დეკორატიული მებაღეობა - 4 ბროშურა

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა;
- პროფესიული განათლების მომსახურების სფეროს წარმომადგენელთა გაზრდილი რაოდენობა (ვეტერინარები, ზოოტექნიკოსები, საკვები პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს პერსონალი);
- გადამზადებულ ფერმერთა გაზრდილი რაოდენობა;
- მემანქანე ოპერატორების, მასალების მიმწოდებლების, ცხოველთა საკვების მწარმოებლების გაზრდილი რაოდენობა;
- სოფლად მცხოვრები ფერმერების ცხოვრების დონის გაუმჯობესება პროდუქტიულობისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით;

- პროდუქტიულობისა და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ტრეინინგების განხორციელება.

პროექტი ორიენტირებულია პროფესიული განათლების ობიექტებზე და მხარს უჭერს მათ ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განხორციელონ სასწავლო კურსები. ამიტომ, ამ ეტაპზე, შეუძლებელია გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობის განსაზღვრა. თუმცა, მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში უკვე შესაძლებელი გახდება, როდესაც პროექტის ახალი მონიტორინგის ჩარჩო პროექტი ხელმისაწვდომი იქნება.

5.4 პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება

5.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება	32 02 02	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	0.3	0.04		0.0	12.9	0.0	12.9

2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოამზადა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია. 2016 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები 4 ძირითადი მიმართულებით: პედაგოგიური კურსი; მოდულური სწავლება - „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“; ინკლუზიური პროფესიული განათლება: პროფესიული ტრენინგები საწარმოში. სულ 867 მასწავლებელი გადამზადდა. ტრენინგები ჩატარდა სამცხე ჯავახეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, აჭარასა და თბილისში. ამ საბიუჯეტო კოდის ფარგლებში, 44300 ლარი იქნა ათვისებული, რაც წლიური გამოყოფილი თანხის 12.9% შეადგენს.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- პროფესიული განათლების პედაგოგთა მომზადება სწავლების თანამედროვე ტექნიკისა მიღწევების შესახებ;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

5.5 საჯარო მოხელეთა ტრენინგები

5.5 ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები		ეს სახსრები არ გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ გააჩნია საბიუჯეტო კოდი	0.7	0.3		0.3	49,9	0.0	49,9

2016 წლის პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი- 2016), UNDP/ რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროექტმა, ვ. ხუხუნაიშვილის სახელობის

ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან (რეფორმის ცენტრი) მჭიდრო თანამშრომლობით, ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, ორგანიზება გაუკეთა 15 ტრენინგ ღონისძიებას (486 ტრენინგ დღე), 8 თემაზე, 249 საჯარო მოხელისთვის, რომელთაგან 72 წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს, ხოლო 177 - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გუბერნატორების ადმინისტრაციებს.

გარდა ამისა, პროექტმა, საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად, ორგანიზება გაუწია 12 ტრენინგ ღონისძიებას (384 ტრენინგ დღე) სამუშაოს აღწერის შემუშავების თემაზე. ტრენინგებს დაესწრო 186 ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, 6 რეგიონული ადმინისტრაციიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით (ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და იმერეთი).

საანგარიშო პერიოდში, პროექტმა, რეფორმების ცენტრთან თანამშრომლობით, 76 მუნიციპალიტეტის 110 თანამშრომელს (ძირითადად, საკადრო რესურსების მართვის სამსახურების წარმომადგენლები და რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების ხელმძღვანელები) სპეციალურ ტრენინგი/სემინარები ჩაუტარა მუნიციპალიტეტებში ტრენინგ საჭიროებების შეფასებისა და წლიური ტრენინგ გეგმების შედგენის შესახებ, მაშინ როცა თავდაპირველად ტრენინგების ჩატარება 10 მუნიციპალიტეტისთვის იყო დაგეგმილი.

საანგარიშო პერიოდში (2016-პირველი ნახევარი წ.) პროექტის ხელშეწყობით განახლდა რეფორმების ცენტრის ვებგვერდი (lsg.gov.ge) და მოხდა, მუნიციპალიტეტების ტრენინგ გეგმების ატვირთვა ვებ გვერდზე, ასევე, შესაძლებლობა მიეცათ ტრენინგის მიმწოდებლებს, დაეტვირთათ თავიანთი შემოთავაზებები. შეიქმნა ახალი ვებგვერდი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემისთვის (edu.lsg.gov.ge/). ვებ გვერდზე განთავსდა 74 მუნიციპალიტეტის ტრენინგ გეგმა და განაცხადი წარმოადგინა 116-მა ტრენინგ მომწოდებელმა.

ღონისძიების სპეციფიური შედეგები:

- შექმნილია და მოქმედებს სწავლების ეფექტიანი სისტემა;
- სასწავლო სისტემისთვის მთავრობის მიერ გამოყოფილი შესაბამისი სახსრები
- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მომსახურების შეფასების სისტემის გაუმჯობესება (სექტორების მიხედვით);
- სწავლების სიტემა შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან „ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებების და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

✓ შესაბამისი ფინანსური ჩარჩოს შექმნა;

✓ ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა;

✓ თვითმმართველობებში მოთხოვნის იდენტიფიცირების სისტემის გაძლიერება

✓ მომსახურების მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერება;

✓ ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის აქტივობების განხორციელება	**62 08**	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	**175,0**	68,5		68,5	39,1	0,0	39,1
სულ			**1209,1**	**491,6**	**0,0**	491,6	40,7	0,0	40,7

რეგიონში განსახორციელებელი პროექტებს ფონდიდან თანხები და პროექტების კატეგორიები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- გურიის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 12,3 მილიონი ლარის ღირებულების 40 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 11,3 მლნ. ლარის ღირებულების 39 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 9,8 მლნ. ლარის ღირებულების 35 პროექტზე, აქედან დასრულებულია 1,0 მლნ. ლარის ღირებულების 7 პროექტი: განხორციელდა 7,4 კმ. გზისა და 1 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- იმერეთის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 40,5 მილიონი ლარის ღირებულების 136 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 33,5 მლნ. ლარის ღირებულების 110 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 32,3 მლნ. ლარის ღირებულების 102 პროექტზე, აქედან დასრულებულია 10,3 მლნ. ლარის ღირებულების 42 პროექტი: განხორციელდა 41,2 კმ. გზის, 1 კულტურის ობიექტის, 3 მრავალბინიანი კორპუსის, 2 საბავშვო ბაღისა და 0,5 კმ. სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- კახეთის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 21,9 მილიონი ლარის ღირებულების 93 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 20,0 მლნ. ლარის ღირებულების 85 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 18,1 მლნ. ლარის ღირებულების 71 პროექტზე, აქედან დასრულებულია 4,5 მლნ. ლარის ღირებულების 21 პროექტი: განხორციელდა 10,5 კმ. გზის, 14,0 წყალმომარაგების ქსელის, 1 ჭაბურღილის, 1,8 კმ. სანიაღვრე/სადრენაჟე სისტემის, 2 საბავშვო ბაღის, 2 სპორტული ინფრასტრუქტურისა და 1 დასვენების ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები; 3,4 კმ.-ზე მოეწყო გარე განათების სისტემა.

- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 11,4 მილიონი ლარის ღირებულების 38 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 8,0 მლნ. ლარის ღირებულების 28 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 6,6 მლნ. ლარის ღირებულების 24 პროექტზე, აქედან დასრულებულია 0,6 მლნ. ლარის ღირებულების 3 პროექტი: განხორციელდა 1,8 კმ. წყალარინების სისტემისა და 2 ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 8,9 მილიონი ლარის ღირებულების 33 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 8,9 მლნ. ლარის ღირებულების 32 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 7,9 მლნ. ლარის ღირებულების 29 პროექტზე, აქედან დასრულებულია 0,9 მლნ. ლარის ღირებულების 5 პროექტი:

განხორციელდა 2,2 კმ. გზის, 0,2 ნაპირსამაგრი სისტემისა და 4 სპორტული ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 27,1 მილიონი ლარის ღირებულების 57 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 23,8 მლნ. ლარის ღირებულების 50 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 22,0 მლნ. ლარის ღირებულების 47 პროექტზე, აქედან დასრულებულია 6,0 მლნ. ლარის ღირებულების 18 პროექტი: განხორციელდა 39,3 კმ. გზის, 1 კულტურის ობიექტის, 3 საბავშვო ბაღის, 1 ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 14,3 მილიონი ლარის ღირებულების 39 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 14,3 მილიონი ლარის ღირებულების 39 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 13,6 მლნ. ლარის ღირებულების 37 პროექტზე, აქედან დასრულებულია 4,7 მლნ. ლარის ღირებულების 15 პროექტი: განხორციელდა 18,8 კმ. გზის, 7,6 კმ. წყალმომარაგების სისტემებისა და 1 სპორტული ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- ქვემო ქართლის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 22,0 მილიონი ლარის ღირებულების 57 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 18,7 მლნ. ლარის ღირებულების 48 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 16,9 მლნ. ლარის ღირებულების 42 პროექტზე, აქედან დასრულებულია 2,8 მლნ. ლარის ღირებულების 8 პროექტი: განხორციელდა 18,3 კმ. გზისა და 1 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

- შიდა ქართლის რეგიონში 2016 წელს დაფინანსდა 16,6 მილიონი ლარის ღირებულების 23 პროექტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 16,0 მლნ. ლარის ღირებულების 21 პროექტზე; სამუშაოები მიმდინარეობს 9,9 მლნ. ლარის ღირებულების 14 პროექტზე, აქედან დასრულებულია 0,8 მლნ. ლარის ღირებულების 1 პროექტი: განხორციელდა 2,3 კმ. გზისა მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები

ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იცვლება. ელექტრონული ტენდერების შედეგად დაზოგილი თანხებით დამატებით ხდება მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ტენდერები ხშირად იწვევს პროცესის გაჭიანურებას, როდესაც ხელახლა უწევს მუნიციპალიტეტს 20 დღიანი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, რადგან არ იღებს მონაწილეობას არც ერთი პრეტენდენტი ან ხდება ტენდერის გასაჩივრება.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით, თანხის 4.1% გაიცა.